# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 18 სექტემბერი 2003 №176 (1947) | ფასი 50 თეთრი



# დაუკარით საქიდაო!

## ელდარ კურტანიძე და ქართველთა გუნდი თბილისში ტრიუმფით დაბრუნდა



# გუშინდელი დღის არსი: არსენალმა ჩაისამა




REUTERS

არსენალი — ინტერი 0:3. ლონდონელთა წესის ამგებნი: ობაფემი მარტინსი, ხულიო კრუზი და ენდი ვან დერ მეიდე




არსენალი — ინტერი. ინტერის მწვრთნელ-ფეხბურთელებ-ქომაგებმა ლონდონში კარგად მოილხინეს

REUTERS ლონდონიდან











როი მაკაიმ დუბლით და დარკო კოვაჩევიჩმა პენალტით „ბაიერნს" და „სოსიედადს" სამ-სამი ქულა მოუტანეს

REUTERS მიუნხენიდან

REUTERS სან სებასტიანიდან

# ჩემპიონთა ლიგა

## ჯგუფური ეტაპი. I ტური. ნუსხელ

CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

**ბაიერნი 2:1 სელტიკი**

0:1 ტომპსონი (57), 1:1, 2:1 მაკაი (73, 86)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, რობერტ კოვაჩი, ლინკე, ლიზარაზუ (რაუ 74), სალიჰამიჯიჩი (სანტა კრუზი 74), ჰარგრივსი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
სელტიკი: ჰედმანი, მაკნამარა, ბალდე, ვარგა, ა. ტომპსონი, აგატი, ლენონი, ს. პეტროვი, სატონი, ლარსონი, ჰარტსონი (მილერი 66)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: სატონი
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)
48 000 მაყურებელი

**ლიონი 1:0 ანდერლეხტი**

1:0 ჟუნინიო (26პ)
ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, რევეილიერი, დიარა, ესიენი, ჟუნინიო (კარიერი 70), დორასო, ელბერი (ლუინდულა 88), გოვუ (მალუდა 72)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
ანდერლეხტი: ზიტკა, ძეველაკოვი, ტიჰინენი, დე ბუკი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ჰასი (მორნარი 64), ზეტერბერგი, ბასეჯიო, დინდანე, სეოლი
მწვრთნელი: უგო ბროოსი
გაფრთხილება: ზიტკა, გოვუ, ძეველაკოვი, დეშახტი
მსაჯი: პაულუ მანუელ გომეშ კოშტა (პორტუგალია)
37 002 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ანდერლეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სელტიკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

### B ჯგუფი

**არსენალი 0:3 ინტერი**

0:1 კრუზი (21), 0:2 ვან დერ მეიდე (24), 0:3 მარტინსი (41)
*ანრიმ ვერ გაიტანა პენალტი (32, მეკარე)*
არსენალი: ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა (ბერხკამპი 64), პირესი (კანუ 65), ანრი, ვილტორდი (პარლოუ 79)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, მატერაცი, კორდობა, ვან დერ მეიდე (მელვინი 70), კ. ძანეტი, ემრე ბელოზოღლუ (ლამუში 66), კილი გონსალესი, კრუზი (კალონი 84), მარტინსი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
34 400 მაყურებელი

**დინამო 2:0 ლოკომოტივი**

1:0, 2:0 რინკონი (83, 90)
დინამო: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, დმიტრულინი (ხაცკევიჩი 46), ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, ბელკევიჩი, პეევი, გიოანე (ჩერნატი 78), გუსევი (რინკონი 60), ლეკო, შაცკიხი
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, ლეკხეტო, პაშინინი, სენიკოვი, იზმაილოვი (ლეანდრო 87), მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია (პიმენოვი 89)
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: ლეკხეტო, ლოსკოვი, იგნაშევიჩი, ლეკო
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
78 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### C ჯგუფი

**აეკ 1:1 დეპორტივო**

0:1 პანდიანი (12), 1:1 ცარტასი (89)
აეკ: ხოტისი, ბორბოკისი, კოსტენოღლუ, ზაგორაკისი, კრეკი (ნალიცისი 80), ცარტასი, გეორგიასი, კაცურიანისი, კაპსისი (მორასი 19), ნ. ლიბეროპულოსი (ივიჩი 64), ოკასი
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, მაურო სილვა, სერხიო გონსალესი (დუშერი 65), ჟორჟე ანდრადე, ვიქტორ სანჩესი, ვალერონი, ექტორი, პანდიანი (სკალონი 78), ლუკე (ტრისტანი 70)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ლიბეროპულოსი, სერხიო გონსალესი, ექტორი, ცარტასი, ოკასი
მსაჯი: თომას მაკკარი (შოტლანდია)
13 500 მაყურებელი

**პსვ ეინდჰოვენი 1:2 მონაკო**

0:1 მორიენტესი (31), 0:2 სისე (56), 1:2 ბუმა (65)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, კოლინი, ოოიერი, ბუმა, ი. ლი, რომედალი, ვან ბომელი, ვან დერ შააფი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 46), რობენი (დე იონგი 83), კეჟმანი, პარკი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
მონაკო: რომა, ევრა, სკილაჩი, როდრიგესი, გივე, ბერნარდი, ჟიული (ადებაიორი 86), ზიკოსი, როტენი, მორიენტესი, ე. სისე (პლასილი 73)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
გაფრთხილება: ვან დერ შააფი, როდრიგესი, სისე, როტენი, პლასილი
მსაჯი: სტივენ ბენეტი (ინგლისი)
27 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აეკ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პსვ ეინდჰოვენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

### D ჯგუფი

**იუვენტუსი 2:1 გალათასარაი**

1:0 დელ პიერო (5), 1:1 ჰაქან შუქური (19), 2:1 ფერარა (73)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი (ტუდორი 65), ტაკინარდი (დავიდსი 46), აპია, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (დი ვაიო 78)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გალათასარაი: მონდრაგონი, პრატესი, ბიულენთი, ფ. დე ბური, ჰაქან უნსალი (ტამაში 84), საბრი, ბატისტა, პინტუ (არიფი 80), ერგუნი, ჰასან შაში (ჯიჰანი 66), ჰაქან შუქური
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
გაფრთხილება: საბრი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
14 420 მაყურებელი

**სოსიედადი 1:0 ოლიმპიაკოსი**

1:0 კოვაჩევიჩი (80პ)
სოსიედადი: ვესტერველდი, ლოპეს რეკარტე, ხაურეგი, შურერი, არანსაბალი, კარპინი, არანბურუ, ხაბი ალონსო, ბარკერო (ხ. ლი 61), კოვაჩევიჩი, დე პაულა (ნიჰათი 61)
მწვრთნელი: რეინალდ დენოი
ოლიმპიაკოსი: კატერინაკისი, ვენეტიდისი, მავროგენიდისი (პანტოსი 70), კოსტულასი, ანატოლაკისი, კარამბუ, კაფესი (გონიასი 83), გ. გეორგიადისი, სტოლტიდისი, პ. ჯორჯევიჩი, ჯოვანი (ხუტოსი 64)
მწვრთნელი: ოლეგ პროტასოვი
გაფრთხილება: არანბურუ, ანატოლაკისი, ჯორჯევიჩი
მსაჯი: კნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)
28 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სოსიედადი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| გალათასარაი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

## ინგლისი

**I დივიზიონი. VIII ტური**

დერბი ქაუნთი 3:2 უოტფორდი

**III დივიზიონი. VIII ტური**

ბოსტონი 1:2 კემბრიჯი

## ესპანეთი

**სეგუნდადივიზიონი გადადებული მატჩი**

ელჩე 1:2 ლას პალმასი

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა გადადებული მატჩები**

გრაცერი 1:3 აუსტრია
ადმირა 4:0 პაშინგი
ბრეგენცი 1:2 რაპიდი

## ნორვეგია

**I დივიზიონი. XXI ტური**

მოსი 2:0 ოსლო იოსტი

**თასის 1/4 ფინალი**

ჰაუგესუნდი 2:3 *რუსენბორგი*

## პოლონეთი

**თასის 1/8 ფინალი**

პოლონია 1:2 *ლეხი*

## დანია

**სუპერლიგა. VIII ტური**

ვიბორგი 2:2 კოპენჰაგენი
ორჰუსი 2:0 აკადემისკი
ბრონდბიუ 1:1 ოლბორგი
ესბიერგი 2:0 ფრემი
ჰერფიოლგე 2:2 ოდენსე
მიდტიულანდი 1:1 ნორდსიელანდი

**1. დივიზიონი. VIII ტური**

ბრიონსჰოი 2:1 ბ-1913
იოლსტიკე 3:4 კიოგე
ჰორსენსი 1:0 ფრედერისია
ნიკიოპინგი 0:1 ნორდიულანდი
რანდერსი 4:2 ვაილე
ბ-93 2:2 სკიოლდი
სიონდერიულანდი 4:1 ფრემადი

## შვეიცარია

**ჩემპიონატი გადადებული მატჩი**

ბელინცონა 2:0 ვადუცი

## ისლანდია

**თასის 1/2 ფინალი**

აკურეირი 1:4 *აკრანესი*



სარბიელი

# ახალი მემარჯვენე
## რაც მოხდა, საშინელება იყო

*არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსმა" ჩემპიონთა ლიგა რიხით დაიწყო – „აიბროქსზე" გერმანიის მეორე გუნდი, ფელიქს მაგათის „შტუტგარტი" წააქცია – შეუპოვარი, კაცური ბრძოლა იყო და მინდორზე სისხლიც კი დაიღვარა...*

*ზურაბ ხიზანიშვილისთვის ეს მატჩი ევროტურნირებზე სადებიუტო გახლდათ და რეინჯერსელმა მცველმა საერთო ჯამში წარმატებულად ითამაშა*

**— ზოგადად, რას იტყოდი ამ თამაშზე?**

— კარგის გარდა სხვა ვერაფერს, ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ დამთავრდა.

**— გაშვებულ გოლისას კევინ კურანთან ყველაზე ახლოს შენ იყავი...**

— იმ მომენტში შემეძლო, გუნდი გადამერჩინა — ვფიქრობ, გაშვებული გოლი ნაწილობრივ ჩემი ბრალიც იყო. ისე, პირველ ტაიმში „შტუტგარტი" გადაგვირჩა — შოთას ან პაოლო ვანოლის რომ გაეტანათ, სულ სხვა თამაში წავიდოდა.

**— „შტუტგარტზე" რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

— გამიკვირდა, რომ ასეთ გუნდს ბუნდესლიგაში გოლი ჯერ არ გაუშვია. თუმც ისიც უნდა ვთქვა, რომ „შტუტგარტი" ახალგაზრდული გუნდია და მისი ფეხბურთელები ერთობ ტექნიკურად თამაშობენ. დამკვიდრებული აზრით, „შტუტგარტი" ყველაზე უფრო თავისი დაცვის ხაზით ფასობს — მისი მცველები ბურთს უაზროდ არ იგერიებენ, მაგრამ შეცდომებიც ბევრი დაუშვეს.

**— შტუტგარტელთა ფორვარდ კევინ კურანზე რას იტყოდი, ვინც გერმანიის ეროვნული ნაკრების წევრიცაა?**

— ძალიან კარგი ფორვარდია. იცის, რა დროს რა უნდა გააკეთოს.

**— მეორე ტაიმში დაცვის ცენტრიდან მარჯვნივ გადახვედი. ისე ჩანდა, თითქოს ამ პოზიციაზე თავს უხერხულად გრძნობდი.**

— მეორე ტაიმში სამი მცველით ვითამაშეთ, რადგან შეცვლაზე შემოსული მორის როსი მწვრთნელმა წინ წასწია. „შტუტგარტმა" მეორე ტაიმი ძალიან კარგად დაიწყო, დაცვაში არ ჩაჯდა და როცა შეტევაზე გადმოდიოდა, სამი-სამზე ვრჩებოდით მეტოქესთან. ასეთ დროს მცველი ძალიან რთულ მდგომარეობაშია, ჰოდა, მეც ძალიან ვფრთხილობდი. რა თქმა უნდა, ვგრძნობდი, რომ მთლად კარგად ვერ ვართმევდი საქმეს თავს, მაგრამ ათ-თხუთმეტ წუთში ყველაფერ ამას ალღო ავუღე.

**— გამარჯვება როგორ აღნიშნეთ?**

— სხვისი არ ვიცი და, მე და შოთა თამაშის შემდეგ შინ წავედით. ისე, ყველანი ძალიან დაქანცულები ვიყავით.

**— ჩემპიონთა ლიგა უკვე დააჭაშნიკე და როგორ ფიქრობ, გასვლაზე თამაში „შტუტგარტთან" ერთობ გაგიჭირდებათ თუ სტუმარ-მასპინძლობას მნიშვნელობა არა აქვს?**

— საერთოდ, შინ რომ თამაშობ, გარკვეული უპირატესობა კი გაქვს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა ისეთი მაღალი დონის ტურნირია, რომ ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

**— ჰენინგ ბერგისა და ფერნანდო რიკსენის თავებით უნებლიე შეჯახებაზეც ვთქვათ — როგორ გრძნობს თავს ახლა რიკსენი?**

— რაც მოხდა, მართლაც საშინელება იყო. რიკსენი მინდორზე ძალიან ცუდად გახდა. ახლა ის უკეთაა, თუმც საავადმყოფოში წევს.

**დავით თავართქილაძე**



# შოთამ შამპანური არ დალია



გაგიკო კოთილაძის ფოტო

*შოთა არველაძე „შტუტგარტთან" ძალიან ნაყოფიერად გაისარჯა, თუმც მინდორი უგოლოდ დატოვა. შოთას პირველ რიგში სწორედ ორ გაცუდებულ საგოლე მომენტზე ჩამოვუგდეთ სიტყვა*

— პირველ ეპიზოდში მეკარემ ითამაშა კარგად — ახლო კუთხეში მინდოდა გატანა, მაგრამ ჰილდებრანდმა მოასწრო კუთხის დაფარვა. მეორე გაცუდებული მომენტი კი მთლიანად ჩემი ბრალი იყო — ბურთი მკერდით კარგად კი გავაჩერე, მაგრამ ვიჩქარე და ფეხი ღონივრად ვერ მოვუქნიე.

**— მეორე ტაიმის პირველი ნახევარი თითქმის მარჯვენა ნახევარმცველად ითამაშე — ამ პოზიციაზე ადრე არასდროს არ გითამაშია...**

— ალექს მაკლიშმა მარჯვენა გარემარბად გამამწესა შესვენების შემდეგ, მაგრამ ძალიან მარჯვნივ მომივიდა გადაადგილება. ამიტომაც იყო, მაკლიშმა შუა თამაშში რომ დამიძახა, ცენტრისკენ შეიწიეო.

**— სათამაშო პოზიცია მეორე ტაიმში ერთხელაც შეიცვალე, რის მერე ხშირად დაცვაშიც ჩადიოდი...**

— ეგრეა, მაკლიშმა შემდეგ თავდამსხმელების უკან გამამწესა, წინ პიტერ ლოვენკრანდსი და მიხაელ მოლსი დარჩნენ, მე კი, ფაქტობრივად, გამთამაშებლად გავაგრძელე თამაში.

**— „შტუტგარტი" მთელი მატჩის განმავლობაში მოედნის ცენტრში მჭიდროდ, კარგად თამაშობდა, თქვენს ნახევარმცველებს ერთობ უძნელდებოდათ საქმის კეთება.**

— პირველ ტაიმში ჩვენს ნახევარდაცვას არა უშავდა, მეორე ტაიმი კი მთლიანად გუნდმა ცუდად დავიწყეთ, მაგრამ მერე დავლაგდით — „შტუტგარტისგან" შესვენების შემდეგ სულ სხვა თამაშს ველოდით.

**— „რეინჯერსის" გამარჯვება პირველ რიგში ლოვენკრანდსის შემოსვლამ განაპირობა?**

— მან სისწრაფე შემატა ჩვენს თამაშს და გოლიც შეაგდო — ლოვენკრანდსმა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. კარგი იქნებოდა, რონალდ დე ბური გვყოლოდა, ვინც ტრავმირებულია — მასთან ერთად თამაში ძალიან სასიამოვნოა, თანაც ასეთი რანგის მატჩებისთვის მას საკმაო გამოცდილება აქვს.

**— ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის შემდეგ თქვი, „მანჩესტერთან" არანაირი შანსი არ გვაქვსო — ახლაც იგივე აზრის ხარ?**

— „შტუტგარტის" დამარცხების შემდეგ ნამდვილად არ დავფრინავ — „მანჩესტერი" ჯგუფში უკონკურენციოა.

**— „შტუტგარტთან" თამაშის დამთავრებისთანავე „აიბროქსზე" მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს...**

— პრიზად ფრანგული შამპანურის „მო ენდ შანდონის" დიდი ბოთლი გადმომცეს, რომელიც ჯერაც გაუხსნელია და სახლში მიდევს. სიმართლე გითხრათ, ზუსტად არ ვიცი, კონკრეტულად ვინ ასახელებს მატჩის საუკეთესო მოთამაშეს, მაგრამ „აიბროქსზე" ამის ტრადიცია არსებობს და ასეთი ალიარება ადრეც მქონია. ალბათ, ამას კლუბის სპონსორები აკეთებენ.

**დავით თავართქილაძე**

# 10 000 და მერთი წელი დანდისგან
## თუ ჰოდლმა ქინქლაძის გამოცდა არ გადაიფიქრა

**დღეს** შესაძლოა გიორგი ქინქალძემ შოტლანდიურ „დანდისთან" კონტრაქტი გააფორმოს.

ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები ქინქლაძის „დანდიში" გადასვლის თაობაზე გუშინ ალაპარაკდნენ, თანაც თქვეს, ქართველი ფეხბურთელი ახალ კლუბს კონტრაქტზე ხელს დღესვე მოუწერსო. „დანდი" და ქინქლაძე გუშინ პირობებზე თითქმის შეთანხმდნენ.

— ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. „დანდის" მართლაც სურს ჩემთან საქმის დაჭერა, თუმც არ გამოვრიცხავ, პრემიერლიგის „ტოტენჰემმა" მოთხოვნები შეცვალოს და თავისთან მიმიწვიოს. საქმე ისაა, რომ „ტოტენჰემის" მწვრთნელ გლენ ჰოდლს ჩემი თამაშის ნახვა სურს, ამის საშუალება კი ახლა არ არის, „ტოტენჰემი" საგანგებოდ ჩემთვის ამხანაგურ მატჩს ვერ დანიშნავს. უახლოეს სანაკრებო შეხვედრამდე კი თითქმის ერთი თვეა, იქამდე ლოდინი არც მე მსურს, არც — ჰოდლს. თუ „ტოტენჰემმა" ჩემი მიწვევა საქმეში უნახავად გადაწყვიტა, მაშინ, რა თქმა უნდა, „დანდის" უარს შევუთვლი და ლონდონში დავრჩები. ეს ამბავი ხვალ-ზეგ უნდა გაირკვეს — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ, როცა მანჩესტერში დავუკავშირდით.

ბრიტანელები „დანდი" — ქინქლაძის შესაძლო ტრანსფერის დეტალებსაც განიხილავენ. „სანის" ცნობით, ფეხბურთელი კლუბის ხელმძღვანელობისგან ითხოვს, რომ „დანდიში" გადასვლის შემთხვევაში მას კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის უფლება ჰქონდეს, რაც ნიშნავს: თუ ქინქლაძეს სხვა კლუბი მიიწვევს, ის „დანდიდან" დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს. ასეთი ვარიანტი „დანდის" ხელს არ აძლევს, სამაგიეროდ, ქართველ ფეხბურთელს კლუბის ისტორიაში ყველაზე მაღალ, კვირაში 10 ათას გირვანქიან ხელფასსა და ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობს. „სანისვე" ინფორმაციით, „დანდის" ქინქლაძის ხელში ჩაგდება გუნდში 34 წლის იტალიელი ფორვარდის ფაბრიციო რავანელის გადაბირების შანსს გაუზრდის. საქმე ისაა, რომ რავანელი ქინქლაძის ფანია და თუ გიო „დანდის" ირჩევს, შესაძლოა, რავანელიც ქართველის გზას გაჰყვეს. ყოველ შემთხვევაში, „დანდის" მწვრთნელ ჯიმ დაფისთვის ქინქლაძის გადაბირების შემთხვევაში რავანელის გუნდში მიყვანა პრობლემა არ უნდა იყოს.

**კობა ინასარიძე**



გაგიკო კოთილაძის ფოტო

დიდი შანსია, გიორგი ქინქლაძე გიორგი ნემსაძის თანაგუნდელი გახდეს



# ქუთაისური როქი

## ფრუიძემ და კიკალეიშვილმა ადგილები გაცვალეს

„ქუთაისში ძალიან უცნაური ქომაგი გვყავს. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ მათ გარკვეულ ნაწილს გულზე დიდად არ ვეხატები და ყოველი თამაშის დროს შეურაცხყოფას მაყენებს. არა აქვს მნიშვნელობა, გუნდი იგებს თუ აგებს... ცხადია, ყველაზე ამის თქმა არ შემიძლია. რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფია ჩემს ლანძღვაგინებას რომ არ ეშვება. მიზეზი ჩემთვის გაუგებარია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ასეთი უმსგავსო რამ ჩემს ქუთაისში ხდება...“ ეს სიტყვები ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ 24 აგვისტოს, საქართველოს ჩემპიონატის მეხუთე ტურის „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედოს“ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განუცხადა ჟურნალისტებს.

მაშინ ამაში უცხო არაფერი იყო. რატომ? ამ მატჩამდე ორიოდ კვირით წინ ქუთათურებმა შინ უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „სპარტაკი“ ვერ დაამარცხეს (0:0) და ფრუიძისა და ხალხის პირველი სერიოზული შელაპარაკება მაშინ მოხდა. აღშფოთებული მწვრთნელი ნამატჩევს ცხარედ შეეპასუხა ვაიქომაგს და სკანდალიც უფრო გაღვივდა.

მაგრამ სოსო ფრუიძე ნაკვერჩხალზე სულის შებერვას და ცეცხლის დანთებას მოერიდა. „ტორპედოს“ თავკაცმა ბოლო ტურში ოზურგეთში „მერცხალთან“ ნათამაშევი 0:0-ის შემდეგ გადადგომა ითხოვა. ხელმძღვანელობას უარი არ უთქვამს. როლები გაიცვალა: აქამდე ფრუიძის თანაშემწე გელა კიკალეიშვილი „ტორპედოს“ უმთავარმწვრთნელებს, აწ უკვე ყოფილი თავკაცი კი მას დაეხმარება.

— ფრუიძე არსად გაგვიშვია. ის კლუბშია და კვლავაც მოამზადებს გუნდს, ოღონდ ოფიციალურად მთავარი მწვრთნელი არ იქნება. ამ საქმეს დროებით გელა კიკალეიშვილი გაუძღვება. სოსომ თავად ითხოვა გადადგომა. მას გულშემატკივრებთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და ეტყობა, ვითარების გამწვავებას მოერიდა. მხოლოდ ეს არის ფრუიძის გადადგომის მიზეზი — გვითხრა გუშინ „ტორპედოს“ დირექტორმა მურად ქუთათელაძემ.

**ძახა ზალამბერიძე**

# მცხეთის მესამე მთავარი

## პრეზიდენტმა გუცაევმა მწვრთნელად გუცაევი დანიშნა



**ვლადიმერ გუცაევმა** ძველი ხელობა გაიხსენა — მწვრთნელობას დაუბრუნდა. რამდენიმე დღეა, თავისსავე გუნდს, უმაღლეს ლიგაში წლეულს აღზევებულ „მცხეთას“ ავარჯიშებს. როდემდე დარჩება კლუბის პრეზიდენტი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად, ამას ჯერ თავადაც ვერ ამბობს, ის კია, რომ უახლოეს ტურში „მცხეთა“ ბათუმში მისი ხელმძღვანელობით ითამაშებს.

შეგახსენებთ, „მცხეთამ“ ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდი თემურ ჩხაიძის თავკაცობით დაიწყო, ზედ ჩემპიონატის წინ ის გუცაევის მეგობარმა ვლადიმერ პანოვმა შეცვალა და გუნდს ერთი ხმაურიანი გამარჯვებაც მოაპოვებინა „ლოკომოტივთან“, თუმც რამდენიმე წარუმატებელი მატჩის შემდეგ „მცხეთისა“ და პანოვის გზაც გაიყო. ვლადიმერ გუცაევმა გუნდის გაძღოლა პოლიციის ჩინოსანს, ბესო მჭედლიშვილს შესთავაზა, რომელიც უწინ შსს-ის „აკადემიას“ წვრთნიდა. მჭედლიშვილმა კი „მცხეთაში“ მუშაობა ვერ შეძლო, მას სხვაგანაც სამსახური კანონით ეკრძალება.

გუცაევს სხვა რა დარჩენია, ვიდრე თავისი გუნდისთვის ახალი მწვრთნელის კანდიდატურას შეარჩევს, მწვრთნელობა თავად იკისრა. გამოცდილება აქვს, უმუშავია კვიპროსულ „ანართოსისში“, საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებსა და ვლადიკავკაზის „ალანიაში“.

**ძობა ინასარიძე**

# გინდათ ევროპა? მიიღეთ ლიცენზია

**ევებ** დღეს არა, მაგრამ ცოტა ხანში კლუბების ლიცენზირების საკითხი ჩვენში ერთობ აქტუალური იქნება. უეფას გადაწყვეტილებით, 2004 წლის მაისიდან ლიცენზიის გარეშე ვერც ერთი კლუბი ვერ მიიღებს მონაწილეობს ევროტურნირებზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კლუბების ლიცენზირებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომაც სფფ-ში სასწრაფოდ შეიქმნა ლიცენზირების კომიტეტი, რომელსაც აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი მურად ანჯაფარიძე ხელმძღვანელობს. დაიწერა ქართული კლუბების ლიცენზირების პროექტი, რომელიც სფფ-მ უეფაში წარადგინა, ნიონიდან დადებითი პასუხი მოვიდა, თქვენი პროექტი დავამტკიცეთ და მიდით, იმუშავეთო.

ლიცენზირების კომიტეტის მესვეურებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს. ჟურნალისტებს მურად ანჯაფარიძესთან ერთად მისი მოადგილე ალექსანდრე ხომერიკი და ლიცენზირების მენეჯერი ნოდარ ჩოლარია წარუდგნენ.

*მურად ანჯაფარიძემ* ზოგადად ისაუბრა ლიცენზირების პროცესზე:

— ჩვენი კომიტეტი სხვადასხვა დარგებად დაყოფილი. საკადრო-ადმინისტრაციულს მამუკა კვარაცხელია ხელმძღვანელობს, სამართლებრივს — არჩევან ლომიძე. გვაქვს სპორტულ ნაგებობათა და ინფრასტრუქტურული ქვეკომიტეტები, რომელთაც ნოდარ კაკულია და ანატოლი მილჩენკო კურირებენ და თითოეული მათგანი ნელ-ნელა მომართავს კლუბებს იმ აუცილებელი პირობების შესასრულებლად, რასაც ლიცენზირება მოითხოვს. მაგალითად, სამართლებრივი და ფინანსური კრიტერიუმებით კლუბი, რომელსაც ფეხბურთელის ან მწვრთნელის დავალიანება აქვს, ლიცენზიას ვერ მიიღებს.

მურად ანჯაფარიძის თქმით, ჯერჯერობით სამი ქართული კლუბის ლიცენზირებაზე მუშაობენ.

— „დინამოს“, „ლოკომოტივს“ და „ვიტ ჯორჯიას“ სხვებზე უკეთესი შანსი აქვთ. ეს კლუბები პრიზიორობის კანდიდატები არიან და შესაბამისად ევროსარბიელზე თამაშიც მოუწევთ. ამიტომაც სხვებზე ადრე ამათ ლიცენზირებაზე უნდა ვიფიქროთ. თუმც თუ საქმე სწორად წარიმართა და კლუბებიც გვერდით დაგვიდგნენ, 2004 წლის მაისისთვის 5-6 ქართული კლუბის ლიცენზირებას მოვასწრებთ — თქვა ანჯაფარიძემ.

**პაატა ძგანტალიანი**

# შევარდენმა ფრთა გაშალა

**საქართველოში** თუ რომელიმე სტადიონს ხეირიანი მინდვრის საფარი დაეკვეხნება, ერთ-ერთი „შევარდენია“. წლების, და მერე როგორი წლების მანძილზე ეს ალაგი არც ფერს იცვლის და არც ხარისხს. სხვა თუ არაფერი, ამ სტადიონზე საქართველოში ნასტუმრევ იტალიის და გერმანიის ნაკრებებსაც კი უვარჯიშიათ. არაფერს ვამბობთ ალბანეთსა და სხვა შედარებით მოკრძალებულ გუნდებზე.

დღეს ამ სტადიონზე ორი გუნდი თამაშობს — „ვიტ ჯორჯია“ და „თბილისი“. თუმც უმთავრესი მაინც ისაა, რომ „შევარდენი“ ბავშვების აღზრდის მადლიან და საპასუხისმგებლო საქმესაც არ ივიწყებს. ყოფილი საფეხბურთო სკოლა „შევარდენის“ ნაცვლად ამიერიდან აქ ისაქმიანებს საფეხბურთო კლუბი „შევარდენი 1906“, რომლის პრეზიდენტი მალხაზ გუგავაა.

კლუბში თერთმეტი ასაკობრივი ჯგუფია. ახალგაზრდა მწვრთნელები 200-მდე პატარა ბიჭს დასტრიალებენ.

წარმატებები კი ცალკე სასაუბრო თემაა — ზედიზედ სამი წელია, 1989 წელს დაბადებულები (მწვრთნელი ვაჟა ხუბეჯიშვილი) თბილისის ჩემპიონები ხდებიან. წლეულს კი ამას ვიტალი დარასელიას სახელობის თასიც მიამატეს. გამარჯვებულებს თასი უმცროსმა ვიტალიმ გადასცა.

ნაკლები შედეგი არც ერთი წლით უმცროს შევარდენებს აქვთ. 1990-იანებს (მწვრთნელი რევაზ წერეთელი) ორი სეზონია, დედაქალაქში ტოლი არ ჰყავთ.

სტადიონისა და კლუბის მეპატრონე მალხაზ გუგავა ამაზე გაჩერებას არ აპირებს და მალე „შევარდენის“ სარბიელს ერთი ხელოვნურსაფარიანი მოედანიც შეემატება. ამჟამად აქ ერთი ძირითადი და ორი სათადარიგო მოედანია. ტრენაჟორები, საუნა, თეორიული მეცადინეობის ოთახი და სხვა ამგვარი კი სათანადო დონეზეა.

საინტერესოა ისიც, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში „შევარდენიდან“ 30-მდე ბიჭი აიყვანეს ქართულმა კლუბებმა. 15 ბავშვი თბილისის „დინამოში“ გადავიდა, ამდენივე „ვიტ ჯორჯიაში“, ისინი ამ კლუბების ბავშვთა გუნდებში ჩაირიცხნენ. ორი მათგანი — მირზა ბეჟალავა და ბესიკ ჩიმაკაძე კი ახალშექმნილ თბილისის „ამერში“ თამაშობენ.

„შევარდენმა“ ახლახან „ვიტ ჯორჯიასთან“ ხელშეკრულება გააფორმა და 1986 წელს დაბადებულთა გუნდი „ვიტ ჯორჯია-შევარდენი“ ბავშვთა ლიგაში თამაშობს. გუნდის მწვრთნელია ნოდარ აკობია. ამ და სხვა საქმეების მოგვარებაში მალხაზ გუგავა ვეტერანთა პრეზიდენტს გურამ რუხაძეს ემადლიერება.

სამომავლო გეგმები კი ერთობ სერიოზულია — „შევარდენის“ სტადიონის უმთავრესი პრობლემა მოუწყობელი ტრიბუნებია. ტრიბუნა და სასტუმრო — ამასაც აუცილებლად მოვაბამთ თავსო, ირწმუნება მალხაზ გუგავა.

რამდენიმე თვეში კი საფეხბურთო კლუბ „შევარდენი 1906“-ს კიდევ ერთი ტურნირი ელის: „ბენდელას თასზე“ მნიშვნელოვან წარმატებას უნდა მივაღწიოთო. შეგახსენებთ, წინა წლებში „შევარდენმა“ სპორტის სასახლეში ჯერ მესამე, შარშან კი მეორე ადგილი დაიკავა (მწვრთნელები ვახტანგ ჩიმაკაძე და სოსო კირთაძე). ასე რომ, ახლა ჩემპიონობის ჯერია...

**ძახა ზალამბერიძე**



ვიტალი დარასელიას თასის მფლობელი „შევარდენი 1906“

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. I ტური

E ჯგუფი

# ალექსობა გლაზგოსა და მანჩესტერში



რეინჯერსი — შტუტგარტი. პაოლო ვანოლიმ კრისტიან ტიფერტს მიწა გამოაცალა

REUTERS

**მანჩესტერი 5:0 პანათინაიკოსი**
1:0 სილვესტრი (13), 2:0 ფორჩუნი (14), 3:0 სოლსკიაერი (33), 4:0 ბათი (40), 5:0 ჯემბა-ჯემბა (83)
**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ფ. ნევილი, ოში (ფლეტჩერი 57), სოლსკიაერი (ბელიონი 46), ბათი (ჯემბა-ჯემბა 57), ფორჩუნი, სილვესტრი, გიგზი, ვან ნისტელროი
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი (ხალკიასი 46), ჰენრიკსენი, მარიჩი, სეიტარიდისი, გუმასი (ეპალე 46), დ. პაპადოპულოსი (ოლისადებე 62), ჟუტაუტასი, კირიაკოსი, სანმარტიანი, კონსტანტინუ, ფისასი
**მწვრთნელი:** იცხაკ შუმი
**მსაჯი:** ალან სარსი (საფრანგეთი)
66 520 მაყურებელი

**რეინჯერსი 2:1 შტუტგარტი**
0:1 კურანი (45), 1:1 ნერლინგერი (73), 2:1 ლოვენკრანდსი (78)
**რეინჯერსი:** კლოსი, რიკსენი (როსი 28), ხიზანიშვილი, ვანოლი (ლოვენკრანდსი 46), ბოლი, ბერგი, ემერსონი (ნუნუ კაპუშუ 65), ნერლინგერი, არტეტა, არველაძე, მოლსი
**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, ბორდონი, მეირა, გერბერი (საბიჩი 80), ტიფერტი, გლები, ჰელდტი (მაისნერი 69), სოლდო, კაკაუ (ამანატიდისი 46), კურანი
**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი
**გაფრთხილება:** გლები, მოლსი, ჰელდტი, ემერსონი, ნერლინგერი, ბოლი
**მსაჯი:** ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
47 957 მაყურებელი

**სამწლიანი** შესვენების შემდეგ ჩემპიონთა ლიგას გამარჯვებით დაუბრუნდა „რეინჯერსი". სკოტებმა სისხლიან, ნერვიულ მატჩში გერმნული „შტუტგარტი" გატეხეს.

ჩაფართა თავკაცი ალექს მაკლიში მატჩამდე წუწუნებდა, ეგებ გერმანელთა დამარცხება ვერ შევძლოთ და ნუ დაგვძრახავთო. ფრთხილმა შოტლანდიელმა წუწუნი კარგად დასცადა — „რეინჯერსმა" სამი ქულა „აიბროქსზე" დატოვა.

„შტუტგარტმა" მასპინძელთა სადებიუტო დაწოლას გაუძლო და მალე მარსელო ბორდონის მეცადინეობით სამი მწვავე მომენტი შექმნა კლოსის კართან. ეს იყო და, შოტლანდიელებმა შუბლგატეხილი, დასისხლიანებული ფერნანდო რიკსენი შეცვალეს და სანამ ინიციატივის ძებნაში იყვნენ, გერმანელებმა ერთი-ორჯერ კიდევ გაიწიეს კლოსისკენ.

ტაიმი მთავრდებოდა, ბორდონის საჯარიმოსას ძელიდან ასხლეტილ ბურთს კურანმა რომ ჰკრა საგოლედ და „აიბროქსი" დაადუმა.

მეორე ტაიმში ვა-ბანკზე წავიდა მაკლიში და ლოვენკრანდსის შემოსვლით დაცვამოშიშვლებულმა ერთბაშად ოთხი თავდამსხმელით შეუტია. ამ ოთხში ჩვენებური შოთა არველაძეც ყოჩაღობდა. შოთას ორი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა გასატანად, თუმცა მეკარეს ვერ აჯობა. ერთხელ კი ქართველის წაქცევისთვის ჟილ ვესიეს თავისუფლად შეეძლო პენალტის დანიშვნა, თუმც ასე არ მოიქცა.

დრო გადიოდა და გერმანელებს შოტლანდიელები ვერაფერს აკლებდნენ და ისევ გერმანელმა ითავა მათი გატეხვა. გაჩაფრებულმა ექსდორტმუნდელმა კრისტიან ნერლინგერმა ჩასცა მახვილი თანამემამულეებს 73-ე წუთზე გატანილი და ტრიბუნების ამღრიალებელი გოლით. თუმცა მთავარი ღრიალი წინ იყო — ხუთი წუთიც არ გასულიყო ამ ამბიდან, ლოვენკრანდსი რომ გაძვრა გერმანელებში და 20-ოდე მეტრიდან დახვრიტა ტიმო ჰილდებრანდი. ამის გამო მოგვიანებით თქვა მაკლიშმა, ჩემებმა ჯადოსნურ ზღაპარში ამომაყოფინეს თავიო.

ზღაპარი არა და კოშმარი კი ნახა „ოლდ ტრეფორდზე" ჩასულმა „პანათინაიკოსმა". სერ ალექსის „მანჩესტერმა" ხუთი გოლით გაისტუმრა ბერძნები. გაკაპიტნებული ოქრო-კაცის, რაიან გიგზის თამადობით მანჩესტერელებმა დაამტკიცეს, რომ ბექჰემის და ვერონის გარეშეც ძალუძთ ვარსკვლავების მოწყვეტა.

მანჩესტერში მხოლოდ ერთი გუნდი საქმიანობდა და რასაც აკეთებდა, შთამბეჭდავი და შედეგიანი იყო. ალექს ფერგიუსონმა ნამატჩევს მოკლედ მოჭრა: სერიოზული გამარჯვება მოვიპოვეთო.

**პაატა ძვანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| რეინჯერსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| პანათინაიკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

F ჯგუფი

# ასეთია რეალობა

## სერბთა ყიჟინა და გერმანელის კმაყოფილება



როზერტო კარლოსი ამ დიდ კაცებშიც არ იკარგება

REUTERS

**რეალი 4:2 მარსელი**
0:1 დროგბა (26), 1:1 რობერტო კარლოსი (29), 2:1, 3:1 რონალდო (34, 57), 4:1 ფიგუ (61), 4:2 ვან ბუიტენი (83)
**რეალი:** კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, კამბიასო (გუტი 73), ზიდანი (სოლარი 86), რაული, რონალდო (პორტილიო 86)
**მწვრთნელი:** კარლუშ კეიროში
**მარსელი:** რუნიე, ბეიე, ვან ბუიტენი, მეიტე, ეკერი, მარლე (იოჰანსენი 38), ხელესტინი, ჰემდანი (ვახოუშეკი 62), მერიემი, მიდო, დროგბა (ნდიაიე 66)
**მწვრთნელი:** ალენ პერენი
**გაფრთხილება:** რუნიე, რაულ ბრავო
**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
70 000 მაყურებელი

**მადრიდის** „რეალმა" შთამბეჭდავად დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, გუნდმა, რომელიც პირველი შეხვდა, დიდი მოწადინების მიუხედავად ტოლი ძალა ვერ დაუპირისპირა — ესპანეთის ჩემპიონმა იგი ლამაზად დაამარცხა. თამაში პირველივე წამებიდან მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. თუმცა მათი გალიზიანებისა და ნამდვილი გამოწვევისთვის „მარსელის" გოლი აღმოჩნდა საჭირო. მადრიდელების პრობლემა მოგეხსენებათ: ფერნანდო იეროს გუნდიდან გაშვების შემდეგ ახალი დამცველის შეძენა ვეღარ მოახერხეს და უკანა ხაზი შეუსუსტდათ, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ივან ელგერას ტრავმაც დაერთო. ერთი სიტყვით ვარსკვლავური თავდასხმა - ნახევარდაცვა გამოუცდელ ზურგზე დაურჩათ დაყრდნობილი, რისი შედეგიც რაულ ბრავოს შეცდომა და დიდიე დროგბას გოლი გამოდგა.

მაგრამ, „რეალს" მეტისმეტად ვარსკვლავური თავდასხმა-ნახევარდაცვა ჰყავს. პირობითად რომ ვთქვათ, „იუვენტუსი" ჯერ წინაა, „მარსელს" კი რაულ ბრავომდე მისვლისთვის მთელი მატჩის განმავლობაში სულ ერთი-ორჯერ თუ ეცალა. ასე და ამგვარად, დროგბას გოლს მასპინძელთა ოთხი პასუხი მოჰყვა: ჯერ რობერტო კარლოსმა დევიდ ბექჰემის პასით შეაგდო ლამაზად, შემდეგ რონალდომ აუბა მხარი ჯერ მიჩელ სალგადოს, შემდეგ კი ზინედინ ზიდანს და ბოლოს, რობერტო კარლოსის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ლუიშ ფიგუმ შეაგდო.

უნდა აღინიშნოს, რომ მადრიდელმა ვარსკვლავებმა შეხვედრა ათასგვარი ფინტებით და ფანდებით დაამშვენეს, თუმცა ბოლოს სტუმრებმა მათ საჯარიმომდე მეორედ მისასვლელად მოიცალეს და დანიელ ვან ბუიტენმა მაღალი ნახტომით თავური გოლი შეაგდო.

ისე, საფინალო სასტვენამდე წამით ადრე ჯონი ეკერმა კინაღამ 4:3-მდე აიყვანა ანგარიში — მადრიდელების საბედნიეროდ იკერ კასილიასმა ფეხით მოიგერია ბურთი.

„ჩვენს გუნდს დიდი ფეხბურთის გარდა მტკიცე ფეხბურთის თამაშიც შეუძლია — განაცხადა მატჩის შემდეგ „რეალის" ახალმა შენაძენმა დევიდ ბექემმა, რომელსაც, საგაზეთო ფართობი საშუალებას რომ გვაძლევდეს, ბევრს შევაქებდით — დღევანდელი მატჩი სამი ქულის გარდა ხასიათის გამოვლენითაც გახლდათ მნიშვნელოვანი. თავიდან გაჭირდა, ხოლო 2:1 რომ წავიყვანეთ, მორჩა, მივხვდით, რომ თამაში მოგებული გვქონდა".

„მარსელის" თავკაცი ალან პერენი: „ყველაფერი იმის ბრალია, რომ მოედანზე შიშით და ყოყმანით გავედით. მეტოქისთვის ბურთი საკენწლაო საგნად ვაქციეთ და დავისაჯეთ. ახლა, როდესაც „რეალი" მარსელში ჩამოვა, კეთილი უნდა ვინებოთ და სამართლიანობა აღვუდგინოთ საკუთარ თავს".

„რეალის" მწვრთნელი კარლუშ კეირუში: „მეტოქემ პირველი 15-20 წუთის განმავლობაში შეგვიქმნა უამრავი პრობლემა, მაგრამ ძალიან კარგი იყო, რომ არ დავფეთდით და ბურთი მანამ ვაგორეთ, სანამ ჩვენს თამაშს არ მივაგენით. გაშვებულმა გოლმა გამოგვაფხიზლა. მინდა აღვნიშნო, რომ დაცვაშიც დიდი სამუშაო გავწიეთ და სწორედ მცველთა თამაშმა მოგვცა წინ დიდძალი ხალხით წასვლის საშუალება".

**პაპუნა ძიდია**

**პარტიზანი 1:1 პორტუ**
0:1 კოშტინია (21), 1:1 დელიბასიჩი (54)
**პარტიზანი:** რადაკოვიჩი, ჩირკოვიჩი (დრულოვიჩი 46), სტოიანოსკი (სავიჩი 46), ვუკტი, ნ. ჟორჯევიჩი, დულიაი, რჟასა, ნადი, ს. ილიჩი, დელიბასიჩი, ილიევი (ბრნოვიჩი 83)
**მწვრთნელი:** ლოთარ მათეუსი
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, მ. რიბეირუ (ბოსინგვა 77), კოშტინია, დეკო სოუზა (რ. ფერნანდეში 88), პ. მენდეში, მაკარტი (იანკაუსკასი 69), დერლეი სილვა
**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ
**გაფრთხილება:** კოშტინია, ნადი, დელიბასიჩი, დეკო სოუზა
**მსაჯი:** მიხალ ბენეში (ჩეხეთი)
32 000 მაყურებელი

**ბელგრადში** „პარტიზანმა" და „პორტუმ" ამაღელვებელი ფრე ითამაშეს. „პარტიზანი", პირველი სერბული გუნდია, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა და, ალბათ, დებიუტანტის მორიდებას თუ მიეწერება ის გარემოება, რომ თავიდან პორტუგალიელებს უფრო ყიჩად ეჭირათ თავი და ანგარიშიც სწორედ მათ გახსნეს — 21-ე წუთზე დეკომ კუთხური ჩააწოდა, ხოლო ფრანსისკო კოშტინიამ თავურით ახლო მანძილიდან მიაღწია მიზანს.

ამის შემდეგ „პორტუმ" თამაშის სადავეებს მტკიცედ ჩასჭიდა ხელი და სერბები შესასვენებლად მხოლოდ 0:1-ით რომ წავიდნენ, იღბალს უნდა უმადლოდნენ — დეკომ ათასი გვარის პრობლემა შეუქმნათ.

მეორე ტაიმში კი „პარტიზანის" შემადგენლობაში გამოჩნდა ვეტერანი ლუბინკო დრულოვიჩი, რომლის ხელშიც მასპინძლები ერთი შეხედვით გამოიცვალნენ. მის მიერ საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი თავდამსხმელ ანდრო დელიბასიჩთან მიფრინდა, რომელმაც 54-ე წუთზე გაქვითა ანგარიში.

ანგარიშის გაქვითვით გახელებული და 32 ათასი სერბის ღრიალით გამხნევებული ბელგრადელი ფეხბურთელები ამის შემდეგ 10 წუთის განმავლობაში ცდილობდნენ „პორტუს" კარგად ორგანიზებული დაცვის გადალახვას, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მეტიც, „პორტუ" ისევ გამოყოჩაღდა და სერბების მეკარეს, რადოვან რადაკოვიჩს ორი რთულად მოსაგერიებელი ბურთი მოაგერიებინა.

89-ე წუთზე კი პორტუგალიელთა ლიტველმა მოთამაშემ ედგარას იანკაუსკასმა საჯარიმოს კიდიდან სასწაულებრივ აცილა ბელგრადელთა ძელს.

„შედეგი მახარებს — თქვა მატჩის შემდეგ „პარტიზანის" მწვრთნელმა ლოთარ მათეუსმა — რადგან პირველ ტაიმში გაგვიჭირდა და ვშიშობდი, რომ წავაგებდით. ლიგის ისტორიაში პირველი თამაში კარგი გამოგვივიდა. მადლობელი ვარ ქომაგებისაც. თუ კარგად ვითამაშებთ შემდეგ ტურში, მარსელში მოვიგებთ, ოღონდ იღბლის წახმარება დაგვჭირდება".

ჟოზე მაურინიუ, „პორტუს" თავკაცი: „შედეგი ლოგიკურია. თუმცა შესვენებამდე ჩვენ ორი გოლის გატანაც შეგვეძლო, მეტოქეს კი მომენტი არ შეუქმნია. პირველ თამაშში მთავარია არ წააგო, განსაკუთრებით თუ ის თამაში სტუმრად გაქვს. ვფიქრობ, ჯგუფურ ეტაპს გავივლით და 16 საუკეთესოში მოვხვდებით".

**პაპუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| პორტუ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პარტიზანი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მარსელი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. I ტური

G ჯგუფი

## მე ვიცი, რატომ წავაგეთ

### ილჰანმა ლუჩესკუ ტაქტიკურად გაარჩია



REUTERS

თურქთა ბრაზილიელი გიარო სტეფანო ფიორეს ფეხს წამოედო

**ბეშიქთაში 0:2 ლაციო**

0:1 სტამი (37), 0:2 ფიორე (77)
ბეშიქთაში: ო. კორდობა, ძაგო, რ. გიარო, აჰმეთ ილდირიმი, ტაიფური, ჯუნტი (სინანი 72), დობრა, იბრაჰიმი, პანჩუ, ილჰანი (სერგენი 56), თუმერი (აჰმედ ჰასანი 56)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი, ს. კონსეისაუ (ჯანიკედა 60), ალბერტინი, ფიორე, სტანკოვიჩი, კ. ლოპესი (მუცი 70), კორადი (ლივერანი 83)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ოდო, ჯანიკედა
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
25 000 მაყურებელი

„ლაციომ" „ბეშიქთაშს" წლეულს მესამედ გადაუყარა და „შავი არწივი" სამჯერვე გაბდღვნა. სტამბოლურ კლუბს იტალიელი მეტოქის კომპლექსი შეჰყრია, რადგან ევროთასებზე აპენინელებს მეცხრედ შეასკდა და ერთი მოგებაც ვერ მიითვალა. მირჩა ლუჩესკუს გუნდს სამი მატჩის ჯამში რომაელების კარში გოლიც კი არ გაუტანია.

შეხვედრის შემდეგ მასპინძელმა ილჰან მანსიზმა მარცხი რუმინელ მწვრთნელს დააბრალა: „ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ვითამაშეთ. ჩემპიონთა ლიგაში „ლაციოს" დონის გუნდს ორი ფორვარდით უნდა შეებრძოლო, მით უმეტეს, შინ თუ თამაშობ. როცა წყვილი მეგოლით უტევ, მეტოქის მცველები საიერიშოდ ველარ იცლიან. ნახეთ მათი გვარები, ვინც გაგვიტანა და ყველაფერს თვითონ მიხვდებით. ახლა მხოლოდ ლაპარაკი შეგვიძლია, ამით კი საქმეს აღარ ეშველება. მწვრთნელმა წინა ხაზზე მარტო მე გამამწესა და კარგად იცით, რომ სამთვიანი მკურნალობის შემდეგ სათანადო ფორმაში არ ვარ".

მირჩა ლუჩესკუს შეგირდის ნათქვამი რომ მოახსენეს, თქვა: „ილჰანმა ალბათ თვალები უნდა მოიფშვნიტოს. ჩვენ სამი შემტევით ვთამაშობდით, საერთოდ კი უკეთესია, ფეხბურთელებმა თავიანთ საქმეს მიხედონ და კრიტიკას შეეშვან".

რუმინელი სპეციალისტი პირველი ტაიმის 37-ე წუთამდე მართალი იყო. „ბეშიქთაშმა" „ლაციოს" მადიანად შეუტია, დობრამ „ინონუზე" შეკრებილი თურქობა ფეხზე მალევე წამოყარა, თუმც მისმა დარტყმამ მიზანს ვერ მიაღწია. მოგვიანებით ფედერიკო ჯუნტიმ სცადა ბედი, მაგრამ ანჯელო პერუციმ გატანა თვისტომსაც არ დაანება. თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში ხელსაყრელი მომენტი ილჰან მანსიზმა დალუპა.

ამასობაში შესვენების დრო მოახლოვდა და „ლაციომ" მორიგი კუთხური მოინადირა. საჯარიმოში ბურთი სტეფანე ფიორემ ჩააწოდა, ახლო ძელთან ჩასაფრებულმა სტამმა კი ოსკარ კორდობას თავურით გაუტანა. მასპინძლებს გაქვითვა უმალ შეეძლოთ. აჰმეთ ილდირიმის დარტყმული პერუციმ გაჭირვებით მოიგერია.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ათ წუთში მირჩა ლუჩესკუმ მოედანზე სერგენ იალჩინი და აჰმედ ჰასანი შეუშვა, მერე კი მათ სინანიც მიაშველა. სინანმა შესვლიდან ხუთ წუთში ოსმალოთა ფანობას თავში ხელი წააშენინა, რადგან ბურთი ძელს მოარტყა.

მასპინძლებს გოლის გატანა არ ეწერათ, „ლაციომ" კი შეხვედრის მიწურულს მეორედაც იხეირა. სტეფანო ფიორემ მახვილი კუთხიდან ზუსტად დაჰკრა და თურქები მიაჩუმა.

რობერტო მანჩინი: „პირველი ტაიმის საწყის 20 წუთში ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მეტოქე ნაცნობი იყო და შესვენების შემდეგ დავლაგდით".

**გაჟა ხუციშვილი**

**სპარტა 0:1 ჩელსი**

0:1 გალასი (85)
სპარტა: ბლაჟეკი, პეტრაში (სიონკო 46), ჰუბშმანი, იოჰანა, ლაბანტი (იეჟეკი 86), პობორსკი, ნემეცი, რადოსლავ კოვაჩი, მიხალიკი (ზბონჩაკი 57), ი. გლუშკევიჩი, იუნი
მწვრთნელი: ირჟი კოტრბა
ჩელსი: კუდიჩინი, ჯონსონი, დესაი, გალასი, ბრიჯი, ჯერემი, მაკელელე, ვერონი, პეტი (ლამპარდი 46), კრესპო (ჰასელბაინკი 73), მუტუ (დაფი 46)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მსაჯი: ჰელმუტ ფლაიშერი (გერმანია)
18 597 მაყურებელი

ჯერ კიდევ ლონდონში, „ჩელსის" ვარსკვლავთკრებულში ერთი კაცი მწვრთნელს აუჯანყდა. „ტოტენჰემთან" შეხვედრის შემდეგ დემიენ დაფი კლაუდიო რანიერის გაუწყრა, 70-ე წუთზე რატომ შემცვალეო. ირლანდიელმა თქვა: „ჯან-ლონეს არ ვუჩივი და მატჩის სრულად თამაში ნებისმიერ პოზიციაზე შემიძლია. ვერ მივხვდი, მწვრთნელი რატომ არ მენდობა".

რანიერი არ აღელვებულა და გუნდის გასაგონად განაცხადა, ჩემით უკმაყოფილო ფეხბურთელებს პრაღაში წასვლის ნაცვლად შინ დარჩენას ვურჩევო.

დემიენ დაფი „ჩელსის" ჩეხეთში გაჰყვა და მწვრთნელს 45 წუთში დაუმტკიცა, რომ მის ნათქვამში სიმართლის მარცვალი არის.

მატჩის პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია და შესვენებამდე მოედანზე მყოფნი გამოუძინებლებს ჰგავდნენ. ორივე კართან ძალიან ცოტა საგოლე მომენტი შეიქმნა. ჩანს, მასპინძლები ძვირფასი სტუმრის დასახვედრად საგანგებოდ მოემზადნენ და მეტოქეზე უფრო შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს.

„სპარტამ" პირველ ნახევარში „არისტოკრატთა" შუახაზი გაათილა და რანიერის შეგირდებმა ჩეხთა კარში სულ ორჯერ დაარტყეს. მათგან ერთი კრესპოს ანგარიშზეა, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო. თავის მხრივ, სპარტელ იგორ გლუშკევიჩსაც ერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ბურთს ხეირიანად ვერ უთავაზა.

მეორე ტაიმში დაშავებული ადრიან მუტუს ნაცვლად დემიენ დაფი გამოჩნდა, ემანუელ პეტი კი ფრენკ ლამპარდმა შეცვალა. „ჩელსიმ" მხოლოდ ამის შემდეგ უმატა ტემპს და ხუან სებასტიან ვერონმა თვისტომი კრესპო იარომირ ბლაჟეკთან ორჯერ პირისპირ დატოვა. კრესპო კარგი პასით გლენ ჯონსონმაც დაასაჩუქრა, თუმც არგენტინელმა ბურთის კარში შეგდება მესამედაც ვერ მოახერხა.

კრესპომ ადგილი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს დაუთმო. სწორედ ჰოლანდიელისა და დაფის წყალობით გამოაცხვეს სტუმრებმა გამარჯვების კინკილა გოლი. მოულოდნელმა ირლანდიელმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ჰასელბაინკმა ბურთს თავი წააშველა და მცველთაგან წამიერად მივიწყებულმა, თავად მცველმა უილიამ გალასმა სამიოდ მეტრიდან კარში ზუსტად დაჰკრა.

აღსანიშნავია, რომ გალასს ჩემპიონთა ლიგაში ბოლოს ჯერ კიდევ „მარსელში" თამაშის დროს „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" გაუტანია.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბეშიქთაში | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

H ჯგუფი

## ნახტომი მომავალში

### დიდა, რა იყო ეს?!

**მილანი 1:0 აიაქსი**

1:0 ინძაგი (67)
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა (მ. ლაურსენი 33), გატუზო, პირლო, ზეედორფი (სერჟინიო 64), კაკა, შევჩენკო, ფ. ინძაგი (ამბროზინი 76)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, პასანენი, ესკუდე (სოტერსი 70), მაქსველი, პიენაარი (სიკორა 81), გალაშეკი, იაკუბუ, ვან დერ ვაარტი, სონკო (სნეიდერი 55), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: ვან დერ ვაარტი, ესკუდე, იბრაჰიმოვიჩი
გაძევება: გატუზო (90)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
50 000 მაყურებელი

რომ არა „მილანის" ბრაზილიელი მეკარე დიდა, „აიაქსი" „სან სიროდან" ქულას წაიღებდა.

მსაჯის დამატებული 94-ე წუთიც იწურებოდა, როცა ამსტერდამელთა ტუნისელი მცველი ჰატემ ტრაბელსი საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა და იბრაჰიმოვიჩს უპასა. მის დარტყმულს „მილანის" მცველები კი გაუსწორდნენ, თუმც ბურთი იქვე მყოფ ვან დერ ვაარტს მიუგორდა, კარიდან ხუთ მეტრში მყოფმა ჰოლანდიელმაც ძლიერად დაარტყა, მაგრამ წაქცეულმა დიდამ „სან სირო" და ალბათ, მთელი მსოფლიოც განაცვიფრა — არანორმალური, შესაშური ნახტომის წყალობით ბურთი კუთხურზე გადააგდო. არბიტრმა ლუბოშ მიხელმაც იქვე ჩასტვინა.

მთლიანობაში მატჩი საკმაოდ თვალსასეირო სანახავი იყო, აქეთ-იქით დახუნძლული მომენტებით. ერთადერთი გოლიც ინძაგიმ მაშინ გაიტანა, როცა ლობონტმა შევჩენკოს შემობრუნებით ძლიერად და უხერხულად დარტყმული ხელებში ვერ შეიმაგრა, პიპოც იქვე იდგა, ბურთს ფეხი რბილად ჰკრა და 1:0.

„ძალიან მიხარია. გოლიც გავიტანე და „მილანმაც" მოიგო. სასტარტო მატჩებს თავისებური დატვირთვა აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოვიგეთ. „აიაქსი" ჩემთვის რაღაც თილისმისმაგვარია, რამდენჯერაც შევხვდი, იმდენჯერ გავუტანე" — ნამატჩევს „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტებთან ენაწყლიანობდა ინძაგი.

ლიგაში დებიუტი ჰქონდა ბრაზილიელ კაკას. მან გამთამაშებლის პოზიციაზე პორტუგალიელი რუი კოშტა შეცვალა. „როსონერის" კიდევ ერთი პასების გამნაწილებელი რივალდო კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ჟურნალისტებმა ვიტორ ბორბას თამაშის შემდეგ თვისტომ კაკაზე სთხოვეს კომენტარი, რაზეც მედიელებმა მოკლე და, როგორც აღნიშნავენ, გაბრაზებული პასუხი მიიღეს: „არ მითამაშია და რა უნდა ვთქვა".

**გიორგი მაჩაბლიძე**



დიდას ამ საოცარმა ნახტომმა „მილანს" სამი ქულა შეუნარჩუნა

**ბრიუგე 1:1 სელტა**

0:1 ხუანფრანი (50), 1:1 მატერნსი (84)
ბრიუგე: ბუტინა, დე კოკი, ბ. მარტენსი (გვოზდენოვიჩი 68), კლემანი, ვან დერ ჰეიდენი, სტოიკა (ენგლებერტი 31), სიმონსი, ჩეპი (მატერნსი 77), ვერჰეინი, ს. მარტენსი, მენდოსა
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
სელტა: პინტო, ანხელ ლოპესი (ველასკო 77), ხერხიო ფერნანდესი, კონტრერასი, ხუანფრანი, ბერიზო, ვაგნერი, ხოსე იგნასიო, ხესული (სილვინიო 81), მილოშევიჩი, გუსტავო ლოპესი (ხანდრო 63)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ვერჰეინი, ვან დერ ჰეიდენი, ანხელ ლოპესი, ს. მარტენსი, ხერხიო ფერნანდესი, კონტრერასი, ბერიზო, ს. მარტენსი
გაძევება: მენდოსა (44), ს. მარტენსი (89)
მსაჯი: გეორგიოს კასნაფერისი (საბერძნეთი)
27 000 მაყურებელი

ბელგიელებმა ესპანელებს ქულა გამოგლიჯეს. ვიგოელი ხუანფრანის 50-ე წუთზე გატანილი შეცვლაზე შესულმა მატერნსმა თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე გაქვითა.

მსაჯმა კასნაფერისმა ჯერ მასპინძელთა ლიდერი ანდრეს მენდოსა გააგდო მინდვირიდან, მერე კი მას ორჯერ გაფრთხილებული სანდი მარტენსიც მიაყოლა.

ტრონდ სოლიედს შეცვლებმა გაუმართლა — ენგლებერტმა და მატერნსმაც დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ის ბურთი გაიტანეს, ცხრა კაცით მებრძოლ „ბრიუგეს" ჰაერივით რომ სჭირდებოდა.

**გიორგი მაჩაბლიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სელტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბრიუგე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აიაქსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |



ანდრეი შევჩენკო

# თქვენ რეალი აქვთ, მე...

**ანდრეი შევჩენკო** ამბობს, რომ ჩემპიონთა ლიგაში „მილანის“, ანუ თასის მფლობელის მთავარი კონკურენტი მადრიდის „რეალი“ კი არა, ტურინის „იუვენტუსი“ იქნება. მოგეხსენებათ, „შავ-წითლებმა“ შეჯიბრება შინ ამსტერდამის „აიაქსის“ 1:0 ძლევით დაიწყეს.

„გასულ სეზონში ევროპაში იტალიური კლუბები მძლავრობდნენ და ჩემი აზრით ამ სეზონშიც იგივე განმეორდება — ამბობს შევჩენკო, — აშკარაა, რომ ფავორიტად ყველას „რეალი“ მიაჩნია, თუმცა მოდით, ნურავინ დაივიწყებს, რომ ამწუთას თასს პატრონი ჰყავს“.

შემდეგ უკრაინელი ვარსკვლავი დევიდ ბექემის თემას შეეხო, თუმცა თავშეკავებით აღნიშნა:

„ის „რეალს“ მხოლოდ გააძლიერებს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მადრიდელებმა კლოდ მაკელელე „ჩელსის“ მიჰყიდეს. მაკელელე კი დიდი ძალაა. მოკლედ, მე უძლიერეს გუნდად „იუვენტუსი“ მიმაჩნია. ის სოლიდური, მებრძოლი და მუდამ სახიფათო გუნდია. „იუვენტუსს“ სუსტი მხარეც აქვს, მოწონებით კი „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“, „ინტერი“, „ლაციო“ და „ბაიერნიც“ მომწონს“.

**პაპუნა ძიძია**

# ინტერის პრესტიჟს პრესამ შეუტია

**სერია A-ს** პირველ ტურში მილანის „ინტერმა“ მხოლოდ ბოლო ოთხ წუთში შეძლო „მოდენას“ გატეხვა და გამარჯვება, რის გამოც ექტორ რაულ კუპერის შეგირდები პრესამ გვარიანად გამოლანძღა. ამ უქმეებზე ვიერის გარეშე მოთამაშე „შავ-ლურჯებს“ ელიტაში წლეულს აღზევებულ „სიენასთან“ მოგებაც გაუჭირდათ და მარკო მატერაცის კინკილა გოლით მიაღწიეს მიზანს. ამის შემდეგ იტალიის ვიცე-ჩემპიონებს კვლავინდებურად კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ თავს. ამით შეწუხებულია გუნდის პრეზიდენტი მასიმო მორატი, რომელიც თვლის, რომ მედია ზედმეტად ამუქებს ყველაფერს.

„დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი კრიტიკა არ დაგვიმსახურებია. მიუხედავად ამისა, იმედია, თამაშს გავაუმჯობესებთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სეზონი ეს-ეს არის დაიწყო. ვიმედოვნებ, „არსენალთან“ უკეთ ვითამაშებთ. ინგლისელები ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობენ და კარგი იქნება, თუ მათ ჩვენც მხარს ავუბამთ. სავარაუდოდ, „ჰაიბერიზე“ ჩინებული სანახაობის მომსწრენი გავხდებით“ — აღნიშნა მორატიმ.

წარსულში ცნობილმა იტალიელმა მცველმა, ხოლო ამჟამად მშობლიური კლუბის („ინტერის“) ადმინისტრატორმა ჯაჩინტო ფაკეტიმ პრეზიდენტს მიბაძა და „შავ-ლურჯების“ ადვოკატად მოგვევლინა.

ფაკეტი: „მინდა ხალხს შევახსენო, რომ „სიენასთან“ მატჩში ხუთი ახალი ფეხბურთელი გვყავდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჯერჯერობით ცოტა გვიჭირს. სხვათა შორის, „სიენა“ სერია A-ში პირველ საშინაო მატჩს ატარებდა, რაც ასევე საყურადღებოა.“

ფაკეტის თქმით, იგი კმაყოფილია კუპერის მუშაობით და მოხარულია, რომ მასიმო მორატიმ არგენტინელი სპეციალისტი გუნდში დატოვა. გარდა ამისა, ვეტერანმა მცველმა აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილების სისწორეში თავად მორატიც დარწმუნდა.

„მორატიმ კუპერის დატოვება გადაწყვიტა და არც უნანია. იგი ძალიან გახარებული იყო „სიენასთან“ მატჩის შედეგით. მართალია, დიდი ჟინით არ გამოვირჩეოდით და არც განსაკუთრებით კარგი თამაში გვიჩვენებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალ მატჩებში ყველაფერს გამოვასწორებთ“ — განაცხადა ფაკეტიმ.

ხოლო ექტორ რაულ კუპერმა თავისი სათქმელი ორ წინადადებაში ჩაატია: „ლონდონში განსხვავებულ „ინტერს“ ნახავთ. მართალია, ურთულესი მატჩი გველის, მაგრამ მაინც იმედიანად ვარ, რადგანაც ჩვენ წინა შეხვედრებთან შედარებით ბევრად უკეთ ვითამაშებთ“.

**გიორგი ძაძამიძე**



ექტორ რაულ კუპერს ჯაჩინტო ფაკეტი გამოექომაგა

# საგზაო შემთხვევა

## ალბერტომ გასახდელში ტრავმა შეიტანა

**დაცვაში** პრობლემები შეექმნა იტალიურ „უდინეზეს“. სერია A-ს მეორე ტურში „მოდენასთან“ მატჩში დაშავდა ბრაზილიელი ალბერტო, რომლის ტრავმაც ბევრად უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ჩანდა.

საინტერესოა, რომ სამხრეთამერიკელი მატჩის 28-ე წუთზე ორი ყვითელი ბარათის გამო მოედნიდან გააძევეს და მანაც თავისი ფეხით დატოვა მინდორი, თუმც ამ დროში ალბერტომ მუხლის ტრავმის გამიზეზება მოასწრო. როგორც გამუქების შედეგად გამოჩნდა, დაზიანება საკმაოდ სერიოზულია და ბრაზილიელი, სულ მცირე, ერთ თვეს ვეღარ ითამაშებს.





ალბერტომ ისე „მოინდომა“, გააძევეს და მუხლიც დაიზიანა

შეგახსენებთ, რომ ალბერტოთი იტალიური ბობოლები იყვნენ დაინტერესებულნი. ყველაზე მეტად რომის „ლაციო“ აქტიურობდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

„უდინეზე“ მაშინ დამშვიდდება, თუ კარსტენ იანკერი მომჯობინდა. გერმანელმა, რომელსაც სამშობლოში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ არავინ შეიძინა და საამსეზონოდაც „ფრიულიზე“ დარჩა, კლუბის სხვა რამდენიმე ახლად, გამოჯანმრთელებულ ფეხბურთელთან ერთად მსუბუქად ივარჯიშა.

ჯანზეა გუნდის ახალწვეული ლუკას კასტრომანიც. როგორც გახსოვთ, ამ უკანასკნელმა წარუმატებელი რომაული კარიერის შემდეგ „ლაციოს“ დატოვება გადაწყვიტა და „უდინეზეს“ სახით მსურველი მაშინვე გამოჩნდა, მაგრამ ეს ტრანსფერი ფაქტობრივად ჩაიშალა და არგენტინელიც სამშობლოში დაბრუნდა. იგი თავის ყოფილ კლუბს „ველეს სარსფილდში“ ჩაირიცხა, მაგრამ იქ ერთი თვეც არ გაუტარებია, რადგან ბოლო „უდინეზესთან“ მოლაპარაკება მაინც შეძლო და ისევ იტალიას მიაშურა.

კასტრომანმა „მოდენასთან“ მატჩში ბოლო 20 წუთი ითამაშა და, ალბერტოსი არ იყოს, მუხლის დაზიანება მოასწრო. თუმც როგორც იქაური ექიმები ამბობენ, სერიოზული არაფერია.

**გიორგი ძაძამიძე**

# ნატალე თუ მივიდა...

**ბოლო ორი** სეზონია, „ემპოლის“ 26 წლის ანტონიო დი ნატალე კარგი თამაშით გამოირჩევა, რაც უყურადღებოდ არ დარჩენიათ იტალიურ ბობოლებს. შემტევი ნახევარმცველით განსაკუთრებით „მილანია“ დაინტერესებული, რაც იქაურ პრესას კიდევ უფრო მეტად აძლევს იმის საბაბს, რომ გუნდიდან რივალდოს შესაძლო წასვლაზე ისაუბროს. იტალიურ მედიას თუ დავუჯერებთ, დიდი შანსია, იანვარში დი ნატალე „მილანში“ გადაბარგდეს, ხოლო რივალდომ დატოვოს „სან სირო“. თუმცა „შავწითლებს“ ნახევარმცველის სატრანსფერო ფასი — 7 მილიონი ევრო ეძვირებათ, „ემპოლი“ კი დამკლები არ ჩანს.

შეგახსენებთ, რომ სანამ სატრანსფერო ფანჯარა დაიხურებოდა, ნატალეს ერთ-ერთი მსურველი, „პარმა“, ნახევარმცველში 5 მილიონ ევროს იხდიდა, მაგრამ „ემპოლიმ“ უარით გაისტუმრა, „ენიო ტარდინის“ ბინადრებმა კი მეტი ვეღარ გაიმეტეს.

**გიორგი ძაძამიძე**





ანტონიო დი ნატალე

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სურკისი თავს სლავურ ფესვებში ეძებს



დიმიტარ პენევი

**უკრაინას ჩრდილოეთ** ირლანდიისთვის რომ მოეგო, ლეონიდ ბურიაკი ახლა ალბათ ისევ ნაკრების მთავარი მწვრთნელი იქნებოდა. მისი ბოლო შანსი ესპანეთში გამარჯვება იყო, მაგრამ იქაურებთან მარცხის შემდეგ მან ნაკრები საკუთარი სურვილით დატოვა. უკრაინისთვის ევრო 2004-ის შესარჩევი ციკლი პირენეის ნახევარკუნძულზე დასრულდა და გუნდიც ამჟამად უმწვრთნელოდაა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი კი ეროვნული გუნდისთვის თავკაცს ეძებს. რუსულმა საინფორმაციო წყაროებმა სავარაუდო კანდიდატად ოლეგ რომანცევი დაასახელეს, მაგრამ უკრაინელებმა ეს მონაჩმახი მალევე უარყვეს.

აჟამად ბურიაკის შემცვლელად ბულგარეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, დიმიტარ პენევს მიიჩნევენ. ბულგარული პრესის ცნობით, სურკისი მას უკვე შეეხმიანა, პენევი კი ჯერჯერობით ფიქრობს.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, ნაკრებს სლავური ფესვების მქონე კაცი უთავკაცებს. „ვფიქრობ, ჩვენს გუნდს სახელოვანი, გამოცდილი სპეციალისტი სჭირდება, რომელსაც წარმატებული კარიერა ჰქონდა“ — დასძინა სურკისმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ნევიო სკალა

# ჩერვიჩენკომ ნივის მძღოლს მწვრთნელობა შესთავაზა

## ნევიო სკალა სპარტაკზე ფიქრობს

**მოსკოვის** „სპარტაკის“ ბუდე მას შემდეგ აირია, დმიტრი სიჩევი კლუბს სასამართლოს ძალით რომ გაეყარა.

ამ სეზონის დასაწყისში „სახალხო გუნდს“ საგადასახადო ინსპექტორებმაც მიაკითხეს, ძველი სატრანსფერო საბუთები ამოუქექეს და უცხოურ ბანკებში დაბანდებული ფული გამოუჩხრიკეს. ოლეგ რომანცევს და მის დამქაშებს თაღლითობას აბრალებდნენ. არაერთი სამხილის არსებობის მიუხედავად, საქმე სასამართლოს კარამდე არ მისულა.

„სახალხო გუნდის“ პრეზიდენტმა ანდრეი ჩერვიჩენკომ უარყოფითი აურის მოცილება ერთი კაცის, ოლეგ რომანცევის მოხსნით სცადა. „სპარტაკის“ მწვრთნელს ყველაფერი ერთბაშად დაატყდა თავს. გუნდი ცხრილის ფსკერზე იყო, თვითონ კი საყოველთაო ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა. რომანცევი გაათავისუფლეს. მის ნაცვლად რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ანდრეი ჩერნიშოვი დანიშნეს.

ჩერნიშოვმა რამდენიმე კვირაში „სპარტაკი“ სულ ოდნავ გამოასწორა. ჩერვიჩენკო მაინც უკმაყოფილო იყო. იგი ხესუს ხილი ხილს დაემსგავსა და მწვრთნელების წამდაუწუმ ცვლა დაიწყო. ორი კვირის წინ ჩერნიშოვიც რომანცევის გზას გაუყენეს და „სახალხო გუნდი“ ერთი მატჩით ვლადიმირ ფედოტოვს ანდეს. ფედოტოვმა თავისი თამაში გასულ უქმეებზე „ტორპედოსთან“ მოიგო, მაგრამ დიდხანს ერთ ადგილზე ყოფნა მასაც არ ეწერა.

ანდრეი ჩერვიჩენკოს „სპარტაკის“ ამჟამინდელი მდგომარეობით გული შეუღონდა და მილანს ეწვია. იქ ერთ-ერთ სასტუმროში ცნობილ იტალიელ სპეციალისტს, ნევიო სკალას შეხვდა.

„სახალხო გუნდის“ პრეზიდენტის თქმით, სკალა მოსკოვში მუშაობაზე თანახმაა, ოღონდ მოსაფიქრებლად ერთი კვირა ითხოვა.

ანდრეი ჩერვიჩენკო საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს, რადგან იტალიელს შეთავაზებულ პირობებზე პრეტენზია არ გამოუთქვამს. აღსანიშნავია, რომ „სპარტაკის“ პრეზიდენტი ევროპიდან სამშობლოში არ დაბრუნებულა. იგი ევროპაში დარჩა და სხვა ვარიანტების მოსინჯვასაც აპირებს.

ნევიო სკალას „პარმაში“ მუშაობისას არაერთი ჯილდო მოუგია. იტალიისა (1992) და თასების მფლობელთა (1993) თასი, ევროპის სუპერთასი (1993) და უეფას თასი (1995).

დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ერთად საკონტინენტთაშორისო თასიც (1997) აღუმართავს, ხოლო 2002 წელს დონეცკის „შახტარით“ უკრაინაში კიევის „დინამოს“ მბრძანებლობა დაამხო.

იტალიელი სპეციალისტი, დონეცკიდან გულისამაჩუყებელი მარცხის შემდეგ წავიდა. „შახტარმა“ უეფას თასზე „აუსტრიასთან“ 0:5 წააგო და თავმოყვარე კაცმა პოსტი საკუთარი ნებით დატოვა. აღსანიშნავია, რომ ავსტრიელებთან მისთვის ავადმოსაგონარ მატჩში „შახტარის“ კარში ვოიცეხ კოვალევსკი იდგა, რომელიც ამჟამად „სპარტაკშია“.

დონეცკში ნევიო სკალა „ნივის“ მარკის ავტომობილით დადიოდა. მოსკოვში „სპარტაკის“ ავტოსადგომზე ისეთი ძვირფასი ოთხთვალები ლაპლაპებენ, რომ იტალიელის მოწონებულ „ნივას“ ალბათ ევროპული მარკის ავტომობილით შეცვლიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბაჯოს სერია გრძელდება



**„ბრეშას“ მწვრთნელი** ჯანი დე ბიაზი აღფრთოვანებული და გახარებულია. მისი გუნდის ლიდერმა და იტალიური ფეხბურთის ჯერაც ჩაუმქრალმა ვარსკვლავმა რობერტო ბაჯომ ვარჯიში განაახლა.

რამდენიმე ხნის წინ ბაჯომ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და სერია A-ს საწყისი ორი ტურიც სწორედ ამის გამო გამოტოვა. მკურნალობის პროცესმა საკმაოდ ნორმალურად ჩაიარა. თავად რობიც თურმე ძალიან მოწადინებული ყოფილა, მედიკოსთა რჩევა-დარიგებებსაც გულდასმით ისმენდა.

ჯანი დე ბიაზიმ ბაჯო უკვე ათამაშა ამხანაგურ მატჩში და რობის კონდიციებით კმაყოფილი დარჩა.

„ფეხბურთის თამაში ძალიან მომენატრა. ეს დრო, რომელიც მკურნალობას დასჭირდა, ძალიან გაიწელა. ერთი სული მაქვს, „ბრეშას“ ოფიციალურ მატჩში როდის დავეხმარები“ — გახარებულია რობი.

კვირას „ბრეშა“ სერია A-ს მესამე ტურის მატჩში „რეჯინას“ ეთამაშება და დიდი იტალიელის წლევანდელი დებიუტიც, დე ბიაზის თქმით, სწორედ ამ მატჩში შედგება.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ხოაკინს ბეტისზე დიდი უნდა



„ბეტისის“ ნახევარმცველ ხოაკინ სანჩესის „მარკაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუდან ჩანს, რომ ესპანური ფეხბურთის ამომავალ თუ უკვე ამოსულ ვარსკვლავს გუნდის დატოვება მტკიცედ გადაუწყვეტია. ხოაკინმა თქვა: „მე დიდ გუნდში, დიდი ფეხბურთის თამაში მსურს. ვატყობ, „ბეტისის“ დონე უკვე არ მაკმაყოფილებს.“

ხოაკინს სევილიურ კლუბთან კონტრაქტი 2006 წლის ივნისამდე აქვს. ამბობენ, „ბეტისის“ უფროსობას ხელშეკრულების დარღვევა მოუწევს, რათა თავადაც მოითბოს ხელი და არც ვარსკვლავბიჭუნას აწყენინოს.

ხოაკინის გადაბირებით უკვე რა ხანია, დაინტერესებულნი არიან „რეალი“, „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „იუვენტუსი“, „ინტერი“ და „რომა“. ფეხბურთელის ნათქვამი, ცხადია, ზემოჩამოთვლილ კლუბებსაც დააინტერესებთ. ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, თუ სად გააგრძელებს კარიერას ხოაკინი, მაგრამ „ბეტისში“ რომ არ აპირებს დარჩენას, ფაქტია.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ბურთთაყვანისმცემელი რონალდინიოს ჯადო-სიტყვა

*საკმარისი იყო წლევანდელი პრიმერადივიზიონის ოდენ სამი შეხვედრა, რომ „ბარსელონასა“ თუ მთელი ესპანური ინჩასობა რონალდინიოს ჯადოსნური ბურთაობის ტყვეობაში მოქცეულიყო. თავად ბრაზილიელიც ლამაზი ფეხბურთით ტკბობას აგრძელებს და „ბარსას“ სამომავლო დიდებაში მტკიცედაა დარწმუნებული. მარად ანცობის გუნებაზე მყოფ რონალდინიოს კატალონიური „სპორტის“ჟურნალისტი ესტუმრა*



**— „ალბასეტესთან“ თამაშისას მცველებს რამდენიმე ეპიზოდში ფრიად ორიგინალური ფინტით დაუსხლტით. მსგავსი ეშმაკური ილეთი სხვა დროსაც გაგიკეთებიათ და, ალბათ, მოტყუებული ფეხბურთელები ცოტათი ბრაზობენ კიდეც–**

— რატომ უნდა ბრაზობდნენ?თუ ასეთ ფინტს ვაკეთებ, ესე იგი, ამის გარდა არაფერი დამრჩენია, მცველებს რალაცნაირად ხომ უნდა გავცდე. ფეხბურთი სხვანაირად არ შეიძლება.

**— ესე იგი, იმ ეპიზოდში ოდენ ფეხბურთზე ფიქრობდით და მეტოქესთან ბოროტად გახუმრება არ გიფიქრიათ?**

— რა თქმა უნდა. ეს ჩემი სათამაშო მანერაა და არა მოწინააღმდეგის დამცირების ხერხი. არანაირად არ ვცდილობ, ვინმეს ბოროტად გავეხუმრო.

**— ნახეთ რაულის გოლი „ვალიადოლიდის“ ცარიელ კარში ქუსლით რომ გაიტანა?**

— დიახ. რატომ მეკითხებით?

**— არის ხალხი, რომელიც ამგვარი გოლების გატანას მეტოქის დამცირებად მიიჩნევს...**

— ყველამ ისე უნდა გაიტანოს თავისი გოლი, როგორც მოესურვება — საფეხბურთო წესების სრული დაცვით. რა თქმა უნდა, ფინტიც და გოლიც შენი შინაგანი სამყაროდან მოდის, შენი განუყოფელი ნაწილია. დარწმუნებული ვარ, რაულს მოწინააღმდეგის პატივისცემის გრძნობა არ აკლია. ასევე მეც. თუნდაც ერთი შეხედვით თვალშისაცემად „მყვირალა“ ფინტი გავაკეთო, ვინმეს დამცირებასა თუ აბუჩად აგდებაზე არასდროს ვფიქრობ. ყოველთვის ასე ვთამაშობდი და სტილის შეცვლას არც ახლა ვაპირებ.

**— ბარსელონაში თქვენზე უკვე ლეგენდები დადის. ძნელია კატალონიურ გრანდისნაირ გუნდში საუკეთესოდ ყოფნა?**

— მოდით, ამ საკითხს დაწვრილებით ნუ განვიხილავთ. „ბარსაში“ მარტო მე არ ვთამაშობ, იქ სხვა ბევრი კარგი ფეხბურთელიცაა.

**— მაგრამ პრესა უკვე გაგიჟდა თქვენზე. რონალდინიოს ყოველი ნაბიჯი საქვეყნოდ შუქდება. ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ?**

— თუ რაიმეთი ყურადღებას ვიქცევ, ეს „ბარსელონას“ გამო ხდება. რაც ჩემს დღევანდელ გუნდს უკავშირდება, ყველაფერი ბრწყინვალეა. ჩემი საფეხბურთო ცოდნაც აქ განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა.

**— უკვე ჩემპიონთა ლიგაც დაიწყო, ტურნირი, რომელშიც არასოდეს გითამაშიათ...**

— მომავალ წელს ავინაზღაურებ ამ დანაკლისს, პატიოსან სიტყვას გაძლევთ. ახლა ჩემთვის ჩემპიონთა ლიგა ბრაზილიურ კარნავალზე უკეთესია და იქ თამაშის შესაძლებლობას ხელიდან ვერ გავუშვებ.

**— არის უკვე რონალდინიო „ბარსელონას“ ჭეშმარიტი ლიდერი?**

— ლიდერობის ჯერ რა მოგახსენოთ. ჩემი კატალონიური კარიერა ეს-ესაა დაიწყო. ვცხოვრობ როგორც „ბარსას“ ყველა დანარჩენი მობურთალი და დიდად ვამაყობ მათთან მეგობრობით.

**— მათთან ერთად მომავალში ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც ხომ არ გეგმავთ?**

— ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვიმეორებ, რომ „ბარსელონაში“ დიდ ჯილდოთა მოსაპოვებლად მოვედი. აქედან შესაბამისი დასკვნა შეგიძლიათ გამოიტანოთ.

**— თქვენს „ძველთაძველ“ საიდუმლოებაზეც ვილაპარაკოთ, ადრეულ ბავშვობაში უფრო თავდამსხმელები მოგწონდათ თუ მინდვრის სხვა მოთამაშეებიც?**

— ბევრი საფეხბურთო კერპი მყავდა. საერთოდ მე უფრო ფეხბურთი მიმწონდა, ვიდრე ერთი რომელიმე გამორჩეული მობურთალი.

**— ფეხბურთი ბრაზილიური თუ ევროპული?**

— ყველანაირი! პატარა რომ ვიყავი, მეკარეებიც მომწონდნენ, მცველებიცა და ნახევარმცველებიც. თან არც იმას ვაქცევდი ყურადღებას, ისინი ბრაზილიელები იყვნენ თუ არა. ჩემთვის მთავარი მუდამ ფეხბურთი იყო.



**— მოედანზე მოსაგებად გადიხართ, ლამაზად თამაშისთვის თუ იმისთვის, რომ იჯადოქროთ?**

— მატჩის მოსაგებად. მე თავს ჯადოქრად არ ვთვლი, რადგან უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთელი ვარ. ფეხბურთელი კი მაშინაა კარგი, როდესაც თამაშებს იგებს. და თუ თამაშებს იგებ, დიდი ტიტულებიც შენია, ლამაზი ბურთაობაც და თქვენ წარმოიდგინეთ, ჯადოქრობაც კი!



# ხუანს უყვარს ტიერი

## ლაპორტამ ანრი ვერ დაივიწყა





**გამარჯვება,** მით უმეტეს, ჩემპიონთა ლიგაში ყველას უნდა და ეს ბუნებრივია, მაგრამ ლონდონის „არსენალს“ კიდევ ერთი მიზეზი აქვს — გამარჯვების შემთხვევაში ფრანგი თავდამსხმელი, ტიერი ანრი იქ თავს ბედნიერად იგრძნობს და სხვა გუნდში გადასვლაზე აღარ იფიქრებს. დიახ, „მეთოფეები“ ლიგაში დიდი სახელით ვერ დაიკვეხნიან და თუ ასე გაგრძელდება, მცირე ფინანსური პრობლემის შემთხვევაში 26 წლის ვარსკვლავის სხვაგან გადასვლაზე ფიქრი იქნებ მეტისმეტად სერიოზულადაც შეუჯდეს.

ცნობისთვის: „ბარსელონას“ ახალ პრეზიდენტს, ხუან ლაპორტას ანრის შეძენა ისე სურს, მზად არის მასში 40 მილიონი ინგლისური გირვანქაც კი გადაიხადოს.

„ტიერი ანრი ძალიან მიყვარს“, — უთხრა ლაპორტამ „სან სპორტს“, — იგი „ბარსელონაში“ რომ ჩამოვიდეს, დიდებული იქნება. ამ ზაფხულზე სამი მიზანი გვქონდა: დევიდ ბექჰემის, რონალდინიოს და ტიერი ანრის ყიდვა. რონალდინიო ვიყიდეთ, მაგრამ ამით ჩვენი ინტერესი არ ამოწურულა. ანრის შეძენას კვლავ ვაპირებთ, თუმცა საამისოდ მიმდინარე სეზონში კარგად თამაში და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა საჭირო. თუ ამ მიზანს მივაღწევთ, ანრის მონადირებას ხელახლა შევეცდებით“.

და ზევით რომ ფინანსური პრობლემები ვახსენეთ, ახალი სტადიონის მშენებლობას და ამ მშენებლობისთვის თანხების მოზიდვას ვგულისხმობდით.

ამასობაში ანრის თანამემამულემ, დიდებულმა ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ განაცხადა, რომ სულაც არ გამორიცხავს „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლას, ყოველივეს კი დაამატეთ, რომ როგორც მისი, ასევე ანრის ყიდვა „ჩელსის“ რუსს მეპატრონეს რომან აბრამოვიჩს სურს.

**პაპუნა ძიდია**

# კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

### ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 001 | ვულვერჰემპტონი-ჩელსი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 19.00 | 002 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 003 | ფულჰემი-სიტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 004 | ლიდსი-ბირმინგემი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 005 | ლივერპული-ლესტერი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 006 | ლივერპული-ლესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 19.00 | 007 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 008 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 009 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 010 | მიდლსბრო-ევერტონი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.05 | 011 | მანჩესტერი-არსენალი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |

### გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 140 | ვერდერი-მიუნხენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 141 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 142 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 143 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 18.30 | 144 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 18.30 | 145 | ბოხუმი-ჰერტა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.30 | 146 | ფრაიბურგი-შალკე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 147 | ჰამბურგი-ჰანზა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.30 | 148 | აინტრახტი-ლაუტერნი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 152 | უნიონი-ლიუბეკი | 1,85 | 3,2 | 2,8 | 1,17 | 1,11 | 1,49 |
| 22.00 | 153 | ალემანია-დუისბურგი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 22.00 | 154 | რეგენსბურგი-არმინია | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 155 | ალენი-მაინცი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 18.00 | 156 | კარლსრუე-ბურგჰაუზენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 157 | ტრიერი-უნტერჰახინგი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 158 | ოსნაბრიუკი-აუე | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 18.00 | 159 | ობერჰაუზენი-კოტბუსი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 160 | ნიურნბერგი-ფიურტი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 164 | კიოლნი(მ)-ვერდერი(მ) | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 165 | ესენი-დინამო | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 166 | პადერბორნი-ვატენშაიდი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 17.00 | 167 | ჰამბურგი(მ)-მიუნსტერი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 17.00 | 168 | კილი-ვუპერტალი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 17.00 | 169 | ქემნიცი-სტ.პაული | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 170 | შალკე(მ)-ბრაუნშვაიგი | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,57 | 1,23 | 1,28 |
| 17.00 | 171 | დორტმუნდი(მ)-უერდინგენი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 17.00 | 172 | ლაიპციგი-ნოიმიუნსტერი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 176 | ერფურტი-აუგსბურგი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 17.30 | 177 | შვაინფურტი-ელვერსბერგი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 17.30 | 178 | აალენი-ოფენბახი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 17.30 | 179 | მაინცი(მ)-ფულენდორფი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 17.30 | 180 | ვეენი-ჰოფენჰაიმი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 17.30 | 181 | საარბრიუკენი-ეშბორნი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 17.30 | 182 | ზიგენი-კიკერსი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 183 | შტუტგარტი(მ)-ფოისტი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 18.00 | 184 | ბაიერნი(მ)-ლაუტერნი(მ) | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 185 | ბაიერნი(მ)-ლაუტერნი(მ) | 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | |

### იტალია. სერია A. III ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 188 | სიენა-ემპოლი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 23.30 | 189 | ანკონა-მოდენა | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 190 | ბოლონია-უდინეზე | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 18.00 | 191 | ბრეშა-რეჯინა | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 18.00 | 192 | ინტერი-სამპდორია | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 193 | ინტერი-სამპდორია 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 194 | ლაციო-პარმა | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 18.00 | 195 | ლეჩე-კიევო | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 18.00 | 196 | პერუჯა-მილანი | 4,2 | 3,1 | 1,85 | 1,78 | 1,28 | 1,15 |
| 23.30 | 197 | იუვენტუსი-რომა | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |

### იტალია. სერია B. V ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 200 | ალბინოლეფე-ფიორენტინა | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 23.30 | 201 | ასკოლი-პესკარა | 1,8 | 2,8 | 4,8 | 1,09 | 1,3 | 1,76 |
| 23.30 | 202 | აველინო-ნაპოლი | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 23.30 | 203 | კალიარი-ტრევისო | 1,45 | 3,5 | 7,5 | 1,02 | 1,21 | 2,38 |
| | 204 | კალიარი-ტრევისო 0:1 | 2,15 | 3,2 | 2,35 | | | |
| 23.30 | 205 | კომო-ტორინო | 2,6 | 2,7 | 2,8 | 1,32 | 1,34 | 1,37 |
| 23.30 | 206 | ჯენოა-ატალანტა | 2,45 | 2,7 | 3,0 | 1,28 | 1,34 | 1,42 |
| 23.30 | 207 | მესინა-ვიჩენცა | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.30 | 208 | პალერმო-ტერნანა | 1,7 | 2,9 | 5,6 | 1,07 | 1,3 | 1,91 |
| 23.30 | 209 | პიაჩენცა-ვენეცია | 1,7 | 2,9 | 5,6 | 1,07 | 1,3 | 1,91 |
| 23.30 | 210 | სალერნიტანა-კატანია | 2,1 | 2,8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 23.30 | 211 | ტრიესტინა-ლივორნო | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 23.30 | 212 | ვერონა-ბარი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. IV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 239 | ბარსელონა-ოსასუნა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 240 | ბარსელონა-ოსასუნა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 00.30 | 241 | ატლეტიკო-ვალენსია | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 242 | ვალიადოლიდი-ესპანიოლი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 243 | დეპორტივო-ალბასეტე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 244 | დეპორტივო-ალბასეტე 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 20.00 | 245 | მალიორკა-სევილია | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 246 | მურსია-ბილბაო | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.00 | 247 | ვილიარეალი-სელტა | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 248 | სოსიედადი-სარაგოსა | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 22.00 | 249 | ბეტისი-რასინგი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 00.30 | 250 | მალაგა-რეალი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. VII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 267 | სოშო-სტრასბური | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 268 | ტულუზა-მეცი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.00 | 269 | ლანსი-ბორდო | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 23.00 | 270 | აიაჩო-რენი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 23.00 | 271 | ოსერი-ბასტია | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.00 | 272 | გენგამი-პსჟ | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.00 | 273 | ნიცა-ლილი | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 274 | ლე მანი-ლიონი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 21.30 | 275 | მონპელიე-მონაკო | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 23.45 | 276 | ნანტი-მარსელი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |

**პორტუგალია. სუპერლიგა. V ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 01.30 | 293 | მარიტიმუ-ბრაგა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 294 | ბოავიშტა-აკადემიკა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 01.15 | 295 | მორეირენსე-სპორტინგი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 296 | ბეირა მარი-ფერეირა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 297 | ჟილ ვისენტე-ამადორა | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.00 | 298 | ნასიონალი-ლეირია | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 21.00 | 299 | ალვერკა-რიუ ავე | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 23.30 | 300 | პორტუ-ბენფიკა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 301 | ბელენენსეში-გიმარაეში | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |

**ჰოლანდია**
**I დივიზიონი. V ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 317 | ვოლენდამი-ნაიმეგენი | 2,8 | 3,4 | 2,25 | 1,53 | 1,24 | 1,35 |
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 318 | დან ჰააგი-როზენდალი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| 22.30 | 319 | ტილბურგი-ზვოლე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 320 | ტილბურგი-ზვოლე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 23.00 | 321 | ვიტესი-როდა | 2,4 | 3,4 | 2,5 | 1,4 | 1,22 | 1,44 |
| 23.00 | 322 | ალკმაარი-ჰერენვენი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 23.00 | 323 | ტვენტე-ვალვაიკი | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 324 | ფეიენოორდი-პსვ | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 325 | ბრედა-აიაქსი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 17.30 | 326 | გრონინგენი-უტრეხტი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

**ბელგია. ჟუპილერ ლიგა. VI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 341 | ბევერენი-ჰეუსდენი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 342 | ანდერლეხტი-ვესტერლო | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 343 | ანდერლეხტი-ვესტერლო 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 344 | გენკი-მონსი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 345 | გენკი-მონსი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.00 | 346 | სერკლი-სტანდარდი | 3,8 | 3,4 | 1,8 | 1,79 | 1,22 | 1,17 |
| 23.00 | 347 | ლუვეი-მუსკრონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.00 | 348 | გენტი-შარლერუა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 349 | გენტი-შარლერუა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 350 | ანტვერპენი-ბეერსხოტი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.00 | 351 | ლიერსი-ლოკერენი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| 23.00 | 352 | სტ.ტრუიდენი-ბრიუგე | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |

**შვედეთი. სუპერეტა. XXIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 429 | ჰეკენი-გეფლე | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 464 | მიკპა-კტპ | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 465 | მიკპა-კტპ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 466 | ტურკუ-ინტერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 467 | ჰაკა-ტამპერე | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 22.00 | 468 | იოკერიტი-ჰიკ | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |


სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

| I ეტაპი, I ტური | შტამპის | ადგილი | I ეტაპი, I ტური<br>ჩაბარების ბოლო ვადაა 19.09.03 |
|---|---|---|---|
| სახელი, მამის სახელი, გვარი -------------------<br>-------------------------------------<br>**რჩება კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 19.09.03** | | | სახელი, მამის სახელი, გვარი -----------------<br>-------------------------------------<br>მისამართი---------------------------------<br>-------------------------------------<br>-------------------------------------<br>საკონტაქტო ტელეფონი ------------------- |

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 20.09 | ფულემი - სიტი | | 19.00 | 20.09 | ფულემი - სიტი | |
| 19.00 | 20.09 | ლივერპული - ლესტერი | | 19.00 | 20.09 | ლივერპული - ლესტერი | |
| 19.00 | 20.09 | ტოტენჰემი - საუთჰემპტონი | | 19.00 | 20.09 | ტოტენჰემი - საუთჰემპტონი | |
| 18.30 | 20.09 | ბაიერნი - ლევერკუზენი | | 18.30 | 20.09 | ბაიერნი - ლევერკუზენი | |
| 18.30 | 20.09 | ფრაიბურგი - შალკე | | 18.30 | 20.09 | ფრაიბურგი - შალკე | |
| 18.30 | 20.09 | შტუტგარტი - დორტმუნდი | | 18.30 | 20.09 | შტუტგარტი - დორტმუნდი | |
| 18.30 | 20.09 | ბოხუმი - ჰერტა | | 18.30 | 20.09 | ბოხუმი - ჰერტა | |
| 23.00 | 20.09 | ოსერი - ბასტია | | 23.00 | 20.09 | ოსერი - ბასტია | |

## I ეტაპი, II ტური | I ეტაპი, II ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.05 | 21.09 | მანჩესტერი - არსენალი | | 20.05 | 21.09 | მანჩესტერი - არსენალი | |
| 15.30 | 21.09 | ფეინოორდი - პსვ | | 15.30 | 21.09 | ფეინოორდი - პსვ | |
| 23.30 | 21.09 | იუვენტუსი -რომა | | 23.30 | 21.09 | იუვენტუსი -რომა | |
| 18.00 | 21.09 | პერუჯა - მილანი | | 18.00 | 21.09 | პერუჯა - მილანი | |
| 19.00 | 21.09 | პორტუ - ბენფიკა | | 19.00 | 21.09 | პორტუ - ბენფიკა | |
| 19.00 | 21.09 | ატლეტიკო - ვალენსია | | 19.00 | 21.09 | ატლეტიკო - ვალენსია | |
| 19.00 | 21.09 | მალაგა - რეალი | | 19.00 | 21.09 | მალაგა - რეალი | |
| 20.30 | 21.09 | ჰამბურგი - ჰანზა | | 20.30 | 21.09 | ჰამბურგი - ჰანზა | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 20 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 20 სექტემბერს)

## პირველი ეტაპის კალენდარი

| ტური | თარიღი | საკონკურსო ბიულეტენი | გამოქვეყნდება |
|---|---|---|---|
| I | 20.09 | „სარბიელის“ 16,17,18 და 19 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| II | 21.09 | „სარბიელის“ 16,17,18 და 19 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| III | 24.09 | „ახალი ვერსიის“ 15 სექტემბრის ნომერში | უეფას თასი |
| IV | 24.09 | „ახალი ვერსიის“ 15 სექტემბრის ნომერში | უეფას თასი |
| V | 27.09 | „სარბიელის“ 20,23,24,25 და 26 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| VI | 28.09 | „სარბიელის“ 20,23,24,25 და 26 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| VII | 30.09 | „ახალი ვერსიის“ 22 და „ულტრას“ 23 სექტემბრის ნომრებში | ჩემპიონთა ლიგა |
| VIII | 1 .10 | „ახალი ვერსიის“ 22 და „ულტრას“ 23 სექტემბრის ნომრებში | ჩემპიონთა ლიგა |
| IX | 04.10 | „სარბიელის“ 27,30 09 და 1,2,3 ოქტომბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| X | 05.10 | „სარბიელის“ 27,30 09 და 1,2,3 ოქტომბრის ნომრებში | ევრ.ქვეყნების საფ.ჩემპიონატები |
| XI | 11.10 | „ახალი ვერსიის“ 29 და „ულტრას“ 30 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ჩემპიონატის შესარჩევი |
| XII | 11.10 | „ახალი ვერსიის“ 29 და „ულტრას“ 30 სექტემბრის ნომრებში | ევრ.ჩემპიონატის შესარჩევი |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XXII ტური

**ჰამარბი 2:3 იურგორდენი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 20 | 15 | 1 | 4 | 47:17 | 46 |
| მალმიო | 21 | 11 | 6 | 4 | 43:18 | 39 |
| ჰამარბი | 21 | 11 | 5 | 5 | 38:29 | 38 |
| ჰალმსტადი | 21 | 11 | 3 | 7 | 35:25 | 36 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 9 | 4 | 8 | 24:28 | 31 |
| იორებრო | 21 | 8 | 6 | 7 | 24:27 | 30 |
| იორგრიტე | 21 | 9 | 3 | 9 | 29:35 | 30 |
| გიოტებორგი | 20 | 8 | 5 | 7 | 28:18 | 29 |
| ელფსბორგი | 21 | 7 | 7 | 7 | 23:26 | 28 |
| აიკ | 21 | 7 | 6 | 8 | 28:30 | 27 |
| ლანდსკრონა | 21 | 6 | 7 | 8 | 18:28 | 25 |
| იოსტერი | 21 | 3 | 7 | 11 | 23:38 | 16 |
| სუნდსვალი | 21 | 2 | 9 | 10 | 17:31 | 15 |
| ენკოპინგი | 21 | 2 | 5 | 14 | 18:45 | 11 |

## ესპანეთი

### თასის 1/32 ფინალის წილისყრა

ალიკანტე — ვილიარეალი; ბარაკალდო — რასინგი; ბადახოსი — ბეტისი; კასარენო — ხერესი; კასტელიონი — ვალენსია; სერო რეიესი — სევილია; სეუტა — მალაგა; კომპოსტელა — დეპორტივო; კონკენსე — ატლეტიკო; კულტურალ ლეონესა — ალბასეტე; ელჩე — ესპანიოლი; ხეტაფე — ლეგანესი; ხიმნასტიკ ტარაგონა — ბილბაო; გრამანეტი — ბარსელონა; ლანსაროტე — პოლი ეხიდო; ლას პალმასი — კორდობა; ლორკა — მურსია; მირანდესი — სარაგოსა; ნუმანსია — სიუდად დე მურსია; პონტევედრა — სელტა; ფეროლი — ალავესი; ოვიედო — სოსიედადი; უნიონი — ოსასუნა; უელვა — ალმერია; სალამანკა — რაიო ვალეკანო; საბადელი — მალიორკა; სან სებასტიანი — რეალი; სპორტინგი — ეიბარი; ტენერიფე — კადისი; ტერასა — ლევანტე; ვესინდარიო — ალგეკირასი; ზამორა — ვალიადოლიდი

*მატჩები გაიმართება 7-8 ოქტომბერს*

## ინგლისი

### I დივიზიონი. VIII ტური

**ბარნლი 0:3 ნოტინგემი**
0:1 პერვუდი (7), 0:2 რიდი (76), 0:3 ტეილორი (82)

**ქრიუ 0:3 ვესტ ჰემი**
0:1, 0:2 კონოლი (16, 21), 0:3 ეზერინგტონი (25)

**ჯილინგემი 1:2 ნორვიჩი**
0:1 ფრენსისი (28), 1:1 კინგი (40), 1:2 კრუჩი (67)

**იფსვიჩი 2:1 უოლსოლი**
1:0 არმსტრონგი (13), 1:1 ბირჩი (29), 2:1 მ. ბენტი (67)

**მილუოლი 2:0 უიმბლდონი**
1:0 პარისი (44), 2:0 ველანი (90)

**პრესტონი 4:2 ქოვენთრი**
1:0 ფულერი (35), 1:1 სტონტონი (423), 2:1 ფულერი (45), 3:1 კროსველი (66), 3:2 მორელი (77), 4:2 კინი (88)

**შეფილდი 5:0 როტერჰემი**
1:0 ტონგი (12), 2:0, 3:0 პეშისოლიდო (23, 57), 4:0, 5:0 ნდლოვუ (61, 83)

**სტოკი 3:1 სანდერლენდი**
1:0 ნოელ-უილიამსი (24), 2:0, 3:0 რუსელი (37, 39), 3:1 კაილი (54)

**კრ. პალასი 0:1 ბრედფორდი**
0:1 ბრენჩი (42)

**უიგანი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ჰორსფილდი (45)

**რედინგი 2:1 კარდიფი**
0:1 თორნი (12), 1:1 ფორსტერი (62), 2:1 სიდუელი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:5 | 16 |
| ვესტ ჰემი | 7 | 5 | 1 | 1 | 9:3 | 16 |
| ნოტინგემი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:7 | 15 |
| ვესტ ბრომვიჩი | 7 | 5 | 0 | 2 | 12:7 | 15 |
| რედინგი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:5 | 14 |
| შეფილდი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 14 |
| ნორვიჩი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | 13 |
| სანდერლენდი | 7 | 4 | 0 | 3 | 11:7 | 12 |
| მილუოლი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 12 |
| კარდიფი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:7 | 11 |
| სტოკი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:10 | 11 |
| კრ. პალასი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| ბრედფორდი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| ქრიუ | 7 | 3 | 1 | 3 | 6:8 | 10 |
| ბარნლი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:15 | 9 |
| ჯილინგემი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:15 | 9 |
| პრესტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| უოლსოლი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:7 | 6 |
| ქოვენთრი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:12 | 5 |
| იფსვიჩი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 |
| როტერჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 1:12 | 5 |
| უოტფორდი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| დერბი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | 4 |
| უიმბლდონი | 7 | 1 | 0 | 6 | 9:18 | 3 |

**სარბიელი სამუშაოდ იწვევს**

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

## საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“-ის დებულება და მასში მონაწილეობის წესები

1. კონკურსის ჩატარების ვადაა 2003 წ. სექტემბერი — 2004 წ. მაისი;

2. კონკურსის მონაწილე წარმოადგენს ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ, ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებიდან და სათასო შეხვედრებიდან აღებული და საკონკურსო ბიულეტენში მითითებული მატჩების პროგნოზს;

3. მიიღება მხოლოდ კონკურსის ჩამტარებელ გაზეთებსა და ჟურნალში გამოქვეყნებული საკონკურსო ბიულეტენები (ქსეროქსზე გადაღებული, კომპიუტერზე ამობეჭდილი და ა.შ. ბიულეტენები კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებენ და ჩაითვლებიან ბათილად);

4. საკონკურსო ბიულეტენი შედგება **A** და **B** ნაწილისაგან;

5. ერთნაირად შევსებული **A** და **B** ნაწილები კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ჩაბარების ადგილზე არა უგვიანეს საკონკურსო ბიულეტენზე აღნიშნული ვადისა, რის შემდეგაც მოხდება როგორც **B** (უნდა ჩაბარდეს), ასევე **A** (რჩება კონკურსანტთან) ნაწილის დამოწმება მიმღების მიერ;

6. საკონკურსო ჟიური მონაწილის შედეგზე იმსჯელებს მხოლოდ დამოწმებული და ჩაბარებული ბიულეტენის **B** ნაწილის მიხედვით. ჩაბარების ადგილზე მიმღები არაა ვალდებული, შეამოწმოს საკონკურსო ბიულეტენის **A** და **B** ნაწილების იდენტურობა. საკონკურსო ბიულეტენის **A** და **B** ნაწილებში მითითებული განსხვავებული პროგნოზის (ანგარიში, შედეგი) შემთხვევაში, პრეტენზიები არ მიიღება;

7. საკონკურსო ბიულეტენის **B** ნაწილში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს მონაწილის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი (სასურველია საკონტაქტო ტელეფონი) გასარჩევი კალიგრაფიით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად;

8. ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად თუ:
— დარღვეულია დებულების მე-5 პუნქტი,
— დარღვეულია დებულების მე-7 პუნქტი,
— გადასწორებული ან გადაშლილია ბიულეტენის **B** ნაწილში რომელიმე მატჩის პროგნოზი (ანგარიში).

9. ყოველი ტურის (ეტაპის) წინასწარი შედეგები (პირველი 25 შედეგი) გამოქვეყნდება შემდეგი ტურის (ეტაპის) დაწყების წინ, პრეტენზიები მიიღება შედეგების გამოქვეყნებიდან 1 კვირის განმავლობაში, რის შემდეგაც კონკურსანტის პროტესტი აღარ განიხილება და წინასწარი შედეგები (ტურის, ეტაპის) ჩაითვლება დამტკიცებულად;

10. კონკურსი ტარდება 10 ეტაპად;

11. კონკურსის თითოეული ეტაპი შედგება 12 ტურისგან;

12. კონკურსის თითოეულ ტურში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს 8 მატჩის პროგნოზი - ანგარიშის მითითებით;

13. მონაწილეს საკონკურსო ტურებში შეუძლია წარმოადგინოს პროგნოზთა ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტი (საკონკურსო ბიულეტენის ერთი **B** ნაწილი ითვლება პროგნოზის ერთ ვარიანტად), ამასთან, ჩაითვლება მხოლოდ ერთი — საუკეთესო ვარიანტი (კონკურსანტის შედეგი ტურში);

14. თითოეული მატჩის სწორი ანგარიშის გამოცნობისთვის მონაწილე მიიღებს 8 ქულას, შედეგის გამოცნობისთვის (ვერ გამოიცნო ანგარიში) 5 ქულას. გადადებული მატჩების შემთხვევაში (ტურში არა უმეტეს ორი მატჩისა) კონკურსანტს ჩაეთვლება ყოველ გადადებულ მატჩში შედეგის გამოცნობა. ორზე მეტი მატჩის გადადების შემთხვევაში, ტური გაუქმდება და დაინიშნება დამატებითი ტური;

15. კონკურსის თითოეულ ეტაპზე გამარჯვებული გამოვლინდება შვიდი საუკეთესო ტურის ქულათა ჯამის მიხედვით (ეტაპის თორმეტივე ტურში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში უარესი მაჩვენებელი არ ჩაითვლება და შეჯამდება მხოლოდ შვიდი საუკეთესო ტურის შედეგი);

16. იმ შემთხვევაში, როდესაც 2 (ორი, ან მეტი მონაწილე დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, ეტაპზე გამარჯვებულის გასარკვევად მხედველობაში მიიღება მერვე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეცხრე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეათე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეთერთმეტე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეთორმეტე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია ორივე (სუყველა) კონკურსანტი ჩაითვლება ეტაპის გამარჯვებულად და საპრიზო ფონდი თანაბრად გაიყოფა მათ შორის.

17. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება 6 საუკეთესო ეტაპის ქულათა ჯამის მიხედვით (იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი მიიღებს მონაწილეობას ათივე ეტაპში, უარესი მაჩვენებელი არ ჩაეთვლება და შეჯამდება მხოლოდ 6 საუკეთესო ეტაპის ქულები);

18. იმ შემთხვევაში, როდესაც 2 (ორი, ან მეტი მონაწილე დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, კონკურსში გამარჯვებულის გასარკვევად მხედველობაში მიიღება მეშვიდე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მერვე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეცხე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეათე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია გამარჯვებულს გამოავლენს ეტაპების ჩათვლაში არმიღებული ნებისმიერი 1 საუკეთესო ტურის მაჩვენებელი, თუ იგი თანაბარია - ეტაპების ჩათვლაში არმიღებული ნებისმიერი 2 საუკეთესო ტურის მაჩვენებელი, დ.ა.შ. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია ორივე (სუყველა) მონაწილე ჩაითვლება კონკურსის გამარჯვებულად და საპრიზო ფონდი თანაბრად გაიყოფა მათ შორის.

19. თითოეულ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ:
I ადგილი — 200 ლარი; II ადგილი — 100 ლარი; III ადგილი — 50 ლარი

20. კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან:
I ადგილი — სატელიტური ანტენა
II ადგილი — პერსონალური კომპიუტერი „პენტიუმ IV“
III ადგილი — მუსიკალური ცენტრი **SONY**,
IV ადგილი — ტელევიზორი **SONY**,
V ადგილი — ვიდეომაგნიტოფონი **SONY**,
ამასთან, მე-6 - 25-ე ადგილზე გასულ კონკურსანტთათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პრიზები.

21. საკონკურსო ბიულეტენები მიიღება:
*1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ.№37*
*2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8*
*3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“*
*4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ*
*5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“*
*6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“*
*7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“*
*8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“*
*9. მეტრო „ღრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20*
*10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17*
*11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16*
*12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15*
*13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)*
*14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)*
*15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)*
*16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)*
*ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში*

# წაგებული ბასკო თურქეთიდან კმაყოფილი მოდის ისე, ქალი მაინც ქალია



*მეოთხე წელია, ბათუმის „ბასკო“ სეზონის წინ თურქეთში ემზადება. ზღვისპირელებმა არც წლეულს უღალატეს ტრადიციას, ანკარაში ექვსდღიანი შეკრება მოიწყვეს. ბასკოელებმა მეხუთე საკონტროლო მატჩი გუშინ საღამოს გამართეს პირველლიგელ „ბუიუქ კოლეჟთან“ და დღეს ბათუმისკენ მოეშურებიან. მათ თავკაც ნუგზარ კანდელაკს გუშინ ანკარის სასტუმრო „ოგულტურკიში“ დავუკავშირდით...*

**— რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ანკარა?**

— სტამბოლთან შედარებით ახლოა. სამსუნში, ტრაბზონში და სხვა ახლომახლო ქალაქებში კი სუსტი გუნდები ჰყავთ.

**— ესე იგი, თურქეთში საკონტროლო მატჩებისთვის წახვედით და არა სავარჯიშოდ...**

— დიახ, მხოლოდ სათამაშოდ. თურქეთში ერთხელაც არ გვივარჯიშია, ყოველ დღე ამხანაგური მატჩები გვაქვს. ვფიქრობ, სწორად ვიქცევით, რადგან სავარჯიშო პირობები, და თანაც კარგი, ბათუმშიც გვქონდა. თურქულ კლუბებთან მატჩები კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენი გუნდისთვის, „ბასკოს“ ხომ თითქმის ახალი შემადგენლობა ჰყავს.

**— ჯერ მანდაურ შედეგებზე დაგეკითხებით...**

— არცთუ შთამბეჭდავი შედეგები გვაქვს, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ბათუმიდან 12 სექტემბრის დილას წამოვედით ავტობუსით და მხოლოდ 13-ში ნაშუადღევს ჩამოვედით ანკარაში. გასამართლებელ მიზეზებს არ ვეძებ, მაგრამ აშკარად დაღლილები ვიყავით, ჩამოსვლიდან სამიოდ საათში მოგვიწია მეორელიგელ „მელკიესთან“ თამაში და 68:72 წავაგეთ.

**— პირველლიგელს თუ ეთამაშეთ?**

— სანამ პირველლიგელს შევხვდებოდით, ისევ მეორელიგელს გავეჯიბრეთ. „ანკარაგიუჯიუ“ ერთი ქულით, 68:67 დავამარცხეთ. გუშინწინ კი დავით ბერძენიშვილის ყოფილ გუნდს, „თედ კოლეჟს“ ვეთამაშეთ და 6 ქულით დავმარცხდით.

**— „ბერძენამ“ როგორ ითამაშა ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ?**

— სამწუხაროდ, დავითმა პირველი მატჩის დასაწყისშივე მიიღო მცირე ტრავმა და მომდევნო თამაშებში მოვერიდეთ მის დატვირთვას. „ბერძენა“ ჩვენი გუნდის ლიდერია და ამხანაგურ მატჩებს ვერ შევწირავდით მის ჯანმრთელობას. ის ახლა უკვე მწყობრშია და დღეს საღამოს ალბათ ვათამაშებთ „ბუიუქ კოლეჟთან“.

**— როგორც ვიცით, თურქეთში მსაჯი მაკა კუპატაძეც გაიყოლეთ...**

— ტრადიციაა ასეთი, „ბასკოს“ ყოველთვის თან დაჰყავს რომელიმე ქართველი მსაჯი. აქამდე ზაზა მაჩალაძე და დავით ბერეკაშვილი გვყავდა თურქეთში. ამას ჩვენი ინიციატივით ვაკეთებთ, მსაჯებს პრაქტიკის ამაღლებასა და საერთაშორისო გამოცდილების მიღებაში ვეხმარებით. მაკამ აქ ყველა მატჩში იმსაჯა ერთის გარდა. გითხარით, „ანკარაგიუჯიუს“ მოვუგეთ-მეთქი. ჰოდა, ამ კლუბის უფროსობა მაგრად დაიბოღმა და მეორეჯერაც ვითამაშოთო, შემოგვთავაზა. ანკარელები აშკარად გაბრაზებულნი იყვნენ, ჩამოსულმა გუნდმა როგორ მოგვიგოო და ჩვენც გართულებებს მოვერიდეთ, მაკას არ ვამსაჯეთ ის მატჩი. როცა ისევ ბრძოლა გავუმართეთ, დარბაზში სიტუაცია დაიძაბა. მოგება აყალმაყალად არ გვიღირდა და ჯინში აღარ ჩავუდექით მასპინძლებს, მათაც გაიხარეს გამარჯვებით.

**— ლაშა კეშელავასა და პლასიდე როდუმტას გარდა „ბასკოში“ ყველა ახალწვეულია. ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?**

— არ მიყვარს ბანალური ფრაზა, ვერავის გამოვარჩევო, თუმც ახლა მაინც მომიწევს ამ სიტყვების თქმა. ასეთი შეკრული და მონდომებული „ბასკო“ იშვიათად მინახავს. მატჩების უმრავლესობა კი წავაგეთ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს შედეგს მოსამზადებელ პერიოდში, მთავარია, ბიჭებმა მებრძოლი სული გამოავლინეს.

**— მაინც რომელ სათამაშო რგოლს გამოყოფთ?**

— დაცვას. ოთხ მატჩში საშუალოდ 70 ქულას იხვეჭდა ჩვენი მეტოქე, რაც შემტევი თურქული კლუბების წინააღმდეგ კარგი შედეგია.

**— თურქეთამდე ბათუმშიც გამართეთ ამხანაგური მატჩები...**

— „სტუ-ჯეოსელი“ სამიდან სამჯერ დავამარცხეთ.

**— ძლიერი გუნდი შეგიკრავთ...**

— მხოლოდ სახელებს რომ შეხედოთ, დიდი ვერაფერი გუნდი ჩანს, მაგრამ ისეთივე სულისკვეთებითა და ჟინით თუ ითამაშებენ, როგორც თურქეთში, ნებისმიერ ქართულ კლუბთან შეგვიძლია ბრძოლა.

**— მაშ, ჩემპიონობის დასაბრუნებლად იბრძოლებთ?**

— ჩემპიონობა მთავარი მიზანია, ამ ეტაპზე კი ნახევარფინალში მოხვედრაა უპირველესი საზრუნავი. თუმც ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, 25 აგვისტოს დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირში ჩავებმებით და ყველა კარგად დაინახავს „ბასკოს“ სახეს.

**ირაკლი ბერტაია**

# მალიქმა სტეფანიას წერტილი დაუსვა



„მაიამის“ მე-14 კაცი მალიქ ალენია

**ვლადიმერ სტეფანიას** „მაიამიში“ დარჩენას ალბათ მაშინ დაესვა წერტილი, როცა პატ რაილის გუნდმა ძირითადის მძიმე ფორვარდს, 25 წლის მალიქ ალენს კონტრაქტი გაუგრძელა.

ეს ამბავი ორიოდ დღის წინ მოხდა, სეზონის ბოლოს „მაიამისთან“ კონტრაქტგასრულებული მალიქ ალენი გუნდში კიდევ ერთი წლით დარჩენაზე დაითანხმეს.

ალენი 210-სანტიმეტრამდეა, მაგრამ ზორბა ტანის ხარჯზე ცენტრობაც შეუძლია. მალიქმა მაიამელთა სასტარტოში წინა სეზონში 73-ჯერ ითამაშა და სწორედ ეს სეზონი გამოდგა მისთვის საუკეთესო — 9,6 ქულა, 5,3 მოხსნა და ერთზე მეტი დაფარება საშუალოდ უმაღლესი შედეგია მის კარიერაში.

სტეფანიას მსგავსად, მაიამელებმა ალენსაც ვეტერანის მინიმუმი, 800 ათასამდე დოლარი შესთავაზეს თავდაპირველად, მაგრამ საბოლოოდ გაცილებით მეტი მისცეს. ზუსტი თანხა არ სახელდება, თუმცა ამერიკელი ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ალენი მილიონზე მეტს აიღებს მომავალ სეზონში.

მალიქ ალენი მაიამელთა მე-14 კონტრაქტიანი კალათბურთელია და ისინი ერთი გამთამაშებლის აყვანასაც ეშურებიან. როგორც ფლორიდული გაზეთი „სან სენტინელი“ იუწყება, მაიამელები არც ცენტრის აყვანაზე იტყვიან უარს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ალბათ ამას ვერ მოახერხებენო.

რა ხანია, ვლადიმერ სტეფანია წავიდა „მაიამიდან“ და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. ოქტომბრიდან კლუბები სეზონისწინა კემპებს გაახურებენ და ქართველის ტრანსფერსაც ალბათ მაშინ დაადგება საშველი.

**ირაკლი ბერტაია**

# მაკაბიმ იცის, როდის დარეკოს



ვასილ ოთიურიძე

**წამყვან** ქართულ კლუბებთან ერთად შედარებით სუსტებშიც მიდი-მოდია გახურებული. შეძლებისდაგვარად ისინიც ცდილობენ ძლიერი კალათბურთელების გადაბირებას, რაც მხოლოდ თბილისურმა „მაკაბიმ“ მოახერხა. ჯამლეთ ხუხაშვილის გუნდში ვიცეჩემპიონ „ბასკოდან“ გოჩა წოწელია, ბრინჯაოსმედალოსან „სტუ-ჯეოსელიდან“ კი ვასილ ოთიურიძე გადავიდნენ.

„მაკაბიმ“ ბოლო სეზონი სუსტად ჩაატარა და ირაკლი ბერიშვილის „ბასკოში“ წასვლის შემდეგ მთლად დაუძლურდა. მაკაბელებს ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ერთადერთი ხეირიანი მოთამაშე შერჩათ, ცენტრი ლადო სუხიშვილი, თუმცა, მათდა საბედნიეროდ, ოთიურიძე და წოწელია უგუნდოდ დარჩნენ და...

წოწელიასთვის „მაკაბი“ არაა უცხო გუნდი. გოჩას რამდენიმე წელი გაუტარებია ამ კლუბში, სანამ ბათუმის „ბასკოში“ გადავიდოდა. მან ზღვისპირელთა ძირითადში ფეხი ვერ მოიკიდა და სეზონის ბოლოს „ბასკოს“ დაემშვიდობა. კარიერის საუკეთესო წლები წოწელიას სწორედ „მაკაბიში“ გაუტარებია და კმაყოფილიც ჩანს ძველ კლუბში დაბრუნებით.

„ბასკოდან“ რომ წამოვედი, პირველად „მაკაბი“ დამიკავშირდა. ვერ ვიტყვი, სხვა კლუბს რომ ჩემი აყვანა სდომოდა, „მაკაბის“ დავთანხმდებოდი თუ არა, მაგრამ ასეთები არ გამოჩნდნენ და „მაკაბიში“ დავბრუნდი. კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მწვრთნელთან სიტყვიერად შევთანხმდი“ — გვითხრა წოწელიამ.

ვასილ ოთიურიძის „მაკაბიში“ გადასვლა კი ცოტა მოულოდნელი იყო. მას ახლახან ბავშვი შეეძინა, თანაც სხვა სამსახურითაც არის დაკავებული და სტუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა თქვა, ვწუხვარ, რომ ოთიურიძე ჩვენთვის ველარ მოიცლისო. მოუცლელი კალათბურთელი სტუ-დან წამოვიდა და როცა ტექნიკოსებმა გუნდი დააკომპლექტეს, თამაშის დრო მერელა გამოუჩნდა, მაგრამ გვიან იყო. უგუნდოდ დარჩენილ ოთიურიძეს „მაკაბი“ შეეხმიანა და ალღოიანი, თუმც ოდნავ მოუხეშავი ფორვარდი ხუხაშვილი წინადადებას დათანხმდა.

„მაკაბიში“ ვარჯიშობდა სსუ-ს ჩუბინი უკანახაზელი ირაკლი სორდიაც, თუმც საბოლოოდ კლუბის გამოცვლა გადაიფიქრა.



გოჩა წოწელია „მაკაბის“ დაუბრუნდა

# პიგმალიონი თუ ფრანკენშტეინი?

## თუ მანქანა ადამიანს მოუგებს, ეს საშინელება იქნება



*ყალმუხეთის პრეზიდენტი, ფიდეს პრეზიდენტი, საფეხბურთო კლუბ „ურალანის" პრეზიდენტი, ცხადია, გვარიანად მსხვილი ბიზნესმენი ანუ რამდენიმე დიდი კომპანიის მეთაური კირსან ილუმჟინოვი ორი წლის წინ უცხოელთათვის განკუთვნილი საქართველოს უმაღლესი ჯილდოს „ოქროს საწმისის" ორდენის კავალერი გახდა. უფრო სწორად, მაშინ ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება გამოქვეყნდა, ჯილდო კი ახლაღა გადაეცა, როცა კირსან ილუმჟინოვი ერთი დღით ჩამოვიდა თბილისში*

## კირსან ილუმჟინოვი ზეინკლობასა და ძმაკაცებთან ლუდის დალევაზე ოცნებობს

**როცა** ილუმჟინოვთან „შერატონ მეტეხი პალასში" საინტერვიუოდ მივედით, გაგვახსენდა მისი ორი წლის წინანდელი ვიზიტიც. მაშინ ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო საღამოზე საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი კირსან ილუმჟინოვმა ფიდეს საპატიო ნიშნით დაგვიჯილდოვა და „რკინის რაინდის" წოდებით დაგვიფასა.

— ნონამ თავისი თამაშით მთელი მსოფლიოს ქალები აიყოლია — გვეუბნება კირსან ილუმჟინოვი — მას უსაზღვრო და შეუფასებელი წვლილი მიუძღვის ჭადრაკის განვითარებაში. ამიტომაც მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე ნონას საგანგებო თასი თამაშდება. ამ თასის მოპოვება ყველა მოჭადრაკისთვის დიდი პატივია. ამიტომაც ნონა გაფრინდაშვილი ფიდეს უმაღლესი ჯილდოთი დავაფასეთ.

**— მაგრამ თავად თქვენთვის რას ნიშნავს დღევანდელი ჯილდო — „ოქროს საწმისი"?**

— ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ესოდენ დიდი პატივი მომაგეს. ეს ჯილდო მეტყველებს იმაზე, რომ ჩემი საჭადრაკო საქმიანობა დაინახეს და დააფასეს. სასიამოვნოა, რომ ეს სწორედ საქართველოს პრეზიდენტმა შენიშნა. თქვენი ქვეყანა ქალთა ჭადრაკის მსოფლიო ცენტრია. ახლა კაცთა ჭადრაკის ევროპის ცენტრიც საქართველოშია. ბედნიერი ვარ, რომ ევროპის ჩემპიონი თქვენი თანამემამულე და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილია. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ჭადრაკის განვითარებაში. „ოქროს საწმისის" ორდენით ჩემი დაჯილდოება კი ნიშნავს იმას, რომ შევარდნაძე ხელს უწყობს საქართველოში ჭადრაკის განვითარებას.

**— თქვენ ხართ ქვეყნის, ფიდესა და საფეხბურთო კლუბ „ურალანის" პრეზიდენტი. ასევე ხართ ბიზნესმენი. ყველა ამ სფეროთაგან რომელში უფრო მეტი ხალისითა და გატაცებით საქმიანობთ?**

— თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ვარ ყალმუხეთისა და ფიდეს პრეზიდენტი. ჩემს ცხოვრებაში ეს ორივე სფერო ერთმანეთს ავსებს, ალამაზებს და ორივე საჭიროა. ამასთან, ყალმუხთათვის ძალიან საჭიროა, რომ ფიდეს პრეზიდენტიც ვარ, რადგან ჩვენ პატარა ერი ვართ. ფიდეს დროშა ახლა ყალმუხეთში ფრიალებს და ის 162 ქვეყანას აერთიანებს. აქედან გამომდინარე, ამ დროშის დახმარებით ყალმუხეთი პოპულარული ხდება.

როგორც ფიდეს პრეზიდენტს, ძალიან ბევრი მოგზაურობა მიწევს, მაგრამ ფიდეს ხელმძღვანელის სტატუსის გარდა მე ყველგან მხვდებიან როგორც ქვეყნის პრეზიდენტს. როცა ვხვდები ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფალთ ან პოლიტიკოსებს თუ ბიზნესმენებს, ლაპარაკს ვიწყებთ ჭადრაკზე, შემდეგ კი გადავდივართ პოლიტიკაზე და ასე შემდეგ... ეს ჩემს ქვეყანას ძალიან ეხმარება, ასე რომ...

**— ნუთუ არ იღლებით? ამდენი საქმე ერთდროულად? როდისღა ისვენებთ?!**

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელია. ათი წლის განმავლობაში დღე და ღამე ვმუშაობ. ერთხელაც არ დამისვენია. რაკი ამირჩიეს, უნდა გავამართლო იმედები. პრეზიდენტობა, სულ ერთია, რისი, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ალბათ, ძალიან კარგია ქარხანაში ზეინკლად მუშაობა. დილით მიხვალ სამსახურში და შენს საქმეს გააკეთებ, არც ხელფასების დარიგებაზე ფიქრობ და არც მსგავს რაღაცეებზე. სამუშაო დღე დასრულდა 6 საათზე? გამორთავ ჩარხს და მეგობრებთან ერთად წახვალ ლუდის დასალევად. მე კი ამის დრო არ მაქვს. აი, ახლაც — თბილისში ჩამოსვლისთანავე შევხვდი საქართველოს პრეზიდენტს, შემდეგ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს, საღამოს ბათუმში ასლან აბაშიძესთან მივფრინავ, იქიდან მოსკოვში და ასე, დაუსრულებლად. დღეს შემეძლო, ერთი ან ორი საათით დამესვენა, მაგრამ ამის მაგივრად ვმუშაობ — ინტერვიუს გაძლევთ. დიახ, ესეც მუშაობაა. ძნელია პრეზიდენტობა და თანაც ამდენი რამის.

**— რაკი ასეა, ხომ არ გიფიქრიათ, რომ ფიდეს ან ქვეყნის პრეზიდენტობა დაგეთმოთ? ამით საქმეც მოგაკლდებათ და იქნებ ლუდის დასალევადაც მოიცალოთ...**

— ყალმუხეთი ჩემი სამშობლოა. მე ყოველთვის ჩემი ქვეყნის მოქალაქე ვიყავი და სადაც უნდა ვიმუშავო, ასეთად დავრჩები. რაც შეეხება არჩევანს, ჯერჯერობით ყველაფერს თავს ვართმევ, მერე კი ვნახოთ.

**— ჭადრაკს დავუბრუნდეთ. ფიდეში ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე თქვენი რეკომენდაციით ჩვენი თანამემამულე ზურაბ აზმაიფარაშვილი აირჩიეს. რას იტყოდით ამის თაობაზე?**

— გაისად ფიდე დაარსების 80 წლისთავს აღნიშნავს. ამ წლების განმავლობაში არც ერთი ქართველი არ ყოფილა ფიდეს ხელმძღვანელობაში. მათგან ზურაბი პირველია, ვინც ასეთი დიდი თანამდებობა მიიღო.

**— ამგვარ არჩევანზე რამ იქონია გავლენა?**

— აბა, რა გიპასუხოთ? მითხარით, რამ იქონია გავლენა მასზე, რომ ასეთი კარგი ადამიანია და თან ევროპის ჩემპიონიც?

ჩვენ აზმაიფარაშვილის სახით შეგვემატა კარგი ადამიანი, მოჭადრაკე და ორგანიზატორი, რომელიც შიგნიდან იცნობს საჭადრაკო სამყაროს და მასზე გული შესტკივა. ის თავისი საქმის პროფესიონალია. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კაცი ჩემს გვერდითაა.

**— რა აზრის ხართ იმაზე, რომ ადამიანი კომპიუტერს ეთამაშება? რამდენად კარგია ეს? ამართლებს თუ არა ამგვარი პაექრობა?**

— არ ვიცი, ეს რამდენად მოსწონს კომპიუტერს. კარგი იქნებოდა, კომპიუტერისთვის შეგვეძლოთ ინტერვიუს ჩამორთმევა, მაგრამ, ვფიქრობ, მასთან თამაში ადამიანისთვის ძალიან კარგია. ამით კონტროლს ვუწევთ ადამიანის გონებრივ განვითარებას, მაგრამ თუ მანქანა მოუგებს ადამიანს, ეს საშინელება იქნება. მაშინ, ალბათ, ახალი ერა დაიწყება. კომპიუტერი აიღებს ძალაუფლებას ქვეყანაზე. თუ კომპიუტერი ლოგიკურად აზროვნებას დაიწყებს, ეს საშიში იქნება, ხოლო უბრალოდ თამაში ჭადრაკის განვითარებას ხელს შეუწყობს.

**— კონტინენტებს შორის ჭადრაკი ყველაზე მეტად მაინც ევროპაშია განვითარებული. რას აკეთებთ იმისთვის, რომ ასევე იყოს მთელ მსოფლიოში?**

— ჭადრაკის სამშობლო ინდოეთია. ის განვითარდა აზიაში, მაგრამ XX საუკუნეში ჭადრაკით უფრო მეტად ევროპელები დაინტერესდნენ. ძალიან მიხარია, რომ ევროპის ჩემპიონი სწორედ ქართველია.

ბოლო პერიოდში ჭადრაკი აზიას დაუბრუნდა. უწინარეს ყოვლისა, პოპულარულია ჩინეთში. ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონი სწორედ ჩინელია. ქალთა ოლიმპიადაზეც ჩინეთის ნაკრებმა გაიმარჯვა. ჭადრაკმა აფრიკაშიც შეაღწია და ამერიკაშიც ვითარდება. მან ყველგან ჰპოვა განვითარება და უკვე ძნელია თქვა, სად უფრო პოპულარულია. ფიდეში 162 ქვეყანაა შესული და კიდევ 22-ს გაწევრიანების თაობაზე განცხადება აქვს დაწერილი. ასე რომ...

**— რადგან დრო ცოტა გაქვთ, ერთსაც გკითხავთ. კიდევ როდის აპირებთ ჩამოსვლას?**

— აქ ჩამოხვლა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს. საქართველოში ყველაფერი მომწონს. ძალიან ლამაზი ბუნება გაქვთ, მხიბლავს თქვენი მთები, ხალხი კი, მიუხედავად ამდენი გაჭირვებისა, ძალიან თბილია. საოცრად კარგი აურა გაქვთ.

მე აქ კიდევ ჩამოვალ!

**გურანდა გურასაშვილი**



კირსან ილუმჟინოვმა ნონა გაფრინდაშვილი საიუბილეოდ ყალმუხურად შეგვიმოსა

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი**
**ბუდვა, სერბეთ-ჩერნოგორია**



ბავშვი ბავშვია...
ჭადრაკი „იუგეს" ფორმაში და ბევრი, ბევრი კოკა-კოლა...



## პაიკს თუ პატრონი გამოუჩნდა, ლაზიერი გახდება

**სერბეთ-ჩერნოგორიის** სამხრეთით, საკურორტო ქალაქ ბუდვაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი დაიწყო. გოგონები და ვაჟები ხუთ ასაკობრივ კატეგორიაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. საერთოდ კი ბუდვას 551 ნორჩი მოჭადრაკე ესტუმრა და აქედან 11 ქართველია.

ოთხი ტურის მერე ვაჟები თავიანთი შედეგებით ჯერჯერობით ვერ გვახარებენ.

ყველაზე უმცროს, ათწლამდელთა ჯგუფში ნოდარ ლორთქიფანიძე 3 ქულით მე-9 ადგილზეა და ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერებს. 12-წლამდელებში ზვიად ფაციამ ორი პარტია მოიგო და 38-ე ადგილზეა, ხოლო დავით ლომსაძე ერთი ქულით 53-ზეა.

შედარებით უკეთესობაა 14-წლამდელებში. თორნიკე სანიკიძე 3 ქულით მე-9 ადგილზეა და მხოლოდ ნახევარი ქულა აშორებს ლიდერებს. მისი კბილა გიორგი მარგველაშვილი კი 2,5 ქულით 27-ეა.

16-წლამდელებში დავით მაღალაშვილი 3 ქულით მეხუთეა და პირველ პოზიციას ერთი ქულა აშორებს. ყველაზე უფროს, 18-წლამდელებში კი მალხაზ სულაშვილი 2 ქულით 26-ე ადგილზეა.

ვაჟებისგან განსხვავებით, აშკარად უკეთ თამაშობენ ჩვენი გოგონები. ხუთი ასაკობრივი ჯგუფიდან ორში ჩვენებურები ლიდერობენ, 18-წლამდელებში მონაწილე კი საერთოდ არ გვყავს.

ათწლამდელთა ჯგუფს ოთხი ქულით სხვა ორ მოთამაშესთან ერთად ნაზი პაიკიძე ლიდერობს, თორმეტიანებში სოფიკო გურამიშვილი ყოჩაღობს. წარუმატებელი არ ეთქმის 14-წლამდელებში მოასპარეზე მირანდა მიქაძის 3,5 ქულას 4 ტურში. იგი მეორე ადგილზეა და ჩემპიონობის შანსი არ დაუკარგავს. რაც შეეხება ჩვენს ყველაზე უფროს გოგონას, მაკა ფურცელაძეს, მან სამი მოგების შემდეგ მეოთხე შეხვედრა დათმო და პირველი ადგილიდან მეოთხეზე ჩაქვეითდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ოქროს გუნდი და ელდარი სხვა ვინაა მათი დარი

*გუშინ, საღამოს ექვსზე თბილისის აეროპორტში ნიუ იორკ-ამსტერდამ-თბილისის რეისით საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები ჩამოფრინდა. მსოფლიოს ჩემპიონი პირველი ქართული გუნდის დასახვედრად სპორტის მოყვარულებმა მრავლად მოიყარეს თავი. იყვნენ ოქროს მედლის სადღეგრძელონათქვამი თუ საამისოდ გამზადებული ნაცნობ-უცნობი სახეები, იყო ზურნა-დოლ-გარმონი და, რა თქმა უნდა, დიდი სიხარული*



მსოფლიოში საუკეთესო გუნდის თასი თბილისშია











ათიოდ წუთში ამერიკიდან დაბრუნებული ოქროს გუნდი დამხვდურებში გაიფანტა. დელეგაციის თითოეული წევრი მიმლოცველთა დიდ ალყებში მოექცა, ყველაზე მეტი ყურადღება, ცხადია, ელდარ კურტანიძისკენ იყო მიპყრობილი, რომელმაც შარშან თეირანში მოგებული ოქროს მედალი ნიუ იორკშიც უპრობლემოდ შეინარჩუნა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი პირველი ქართველი ჯერ ვეტერანმა მოჭიდავეებმა მოიხელთეს და საცეკვაოდ გააქანეს. თვალზე ცრემლმომდგარმა კურტანიძემ არც სახელდახელო წრეში შეირცხვინა თავი. ცოტა ხანში მის ადგილზე ბრინჯაოს პრიზიორი რევაზ მინდორაშვილი აღმოჩნდა, ელდარი კი ახალგაზრდა მოჭიდავეებმა მხრებზე შეისვეს და იქაურობა მოატარეს.

საერთო ფოტოს გადასაღებად ნაკრების წევრების შეკრებას გვარიანი დრო დასჭირდა, შემდეგ კი ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან ერთად გაუჩინარდნენ.

დღეს მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრები 13 საათზე ოლიმპიურ კომიტეტშია მიწვეული, ერთ საათში კი სპორტის დეპარტამენტში საგანგებო პრესკონფერენციაა.

ახლა რამდენიმე სახელდახელო მინი ინტერვიუ. პირველ რესპონდენტად **ელდარ კურტანიძის** გარდა აბა ვის ავირჩევდით:

— ტიტულის დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვებაო, მაგრამ ამერიკაში პირიქით მოხდა. იმდენად თავდაჯერებული ვიყავი, ოქროს მედლის მოგება გაცილებით იოლად მოვახერხე. მეტოქეებიც უფრო მეტად ფრთხილობდნენ და ალბათ ესეც დამეხმარა. აქ თქვენს ემოციებს ვხედავ და წარმოიდგინეთ, ჩვენ რა დღეში ვიქნებოდით. ამ გამარჯვებას მთელ საქართველოს ვუძღვნი და ამდენი გახარებული სახის ხილვით უბედნიერესი კაცი ვარ.

ჩემპიონის შემდეგ მისი პირადი მწვრთნელი **გია გალდავა** მოვიხელთეთ...

**— როდის დარწმუნდით, რომ თქვენი შეგირდი მსოფლიოს ჩემპიონობას შეინარჩუნებდა?**

— ფინალამდე დიდი ხნით ადრე, თუმცა, როცა ირანელთან 3-ქულიანი გდება გააკეთა, საბოლოოდ დავმშვიდდი. ამის შემდეგ ბრძოლის შემობრუნება პრაქტიკულად გამორიცხული იყო. ელდარმა საუკეთესოდ იჭიდავა და ბევრი ნერვიულობა ამადაც არ დაგვჭირვებია.

**— მონღოლი მეტოქე კი ნახევარფინალურ შეხვედრამდე დაგნებებიათ...**

— მონღოლის მწვრთნელებმა ბრძოლამდე მართლაც სთხოვეს ელდარს, დიდი ანგარიშით გამარჯვებისგან თავი შეეკავებინა, მაგრამ ზოგჯერ ასეთ ნაბიჯს ერთგვარ ფანდად იყენებენ, მეტოქის მოსადუნებლად, შემდეგ კი გამარჯვებისთვის იბრძვიან ხოლმე. ამ შემთხვევაში ეს ტყუილი არ ყოფილა და ფინალის საგზურიც აუღელვებლად მოვიპოვეთ.

გუნდური ჩემპიონობისთვის განკუთვნილი თასი ყველა დამხვდურმა საკუთარი თვალით იხილა, არადა, ბოლო ორი დღეა, რუსული სააგენტოები ჯიუტად ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს გუნდურში ჩემპიონი რუსეთის ნაკრები გახდა.

ქართველ მოჭიდავეთა მთავარი მწვრთნელი **ზაზა თურმანიძემ**: რუსებმა რაც უნდათ, ის თქვან, ფაქტი თბილისშია. მსოფლიოს ჩემპიონი საქართველოს ნაკრებია. ამას ეს თასი ადასტურებს.

**რევაზ მინდორაშვილი**: ნიუ იორკამდე ევროპის ჩემპიონატი მოვიგე და მსოფლიოს ჩემპიონობაც ძლიერ მსურდა, სამწუხაროდ, მესამე ადგილზე უკეთესი ვერ შევძელი. არა უშავს, ბრინჯაოც არაა ურიგო, ოქრო კი ოლიმპიადაზე იყოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**





ბადრი ქეთილაძის ფოტო

# რავა ხარ, ილო?

## ზედგინიძეს ფრანგული ოპერაცია გაუკეთეს

*იტალიასთან ტესტ-მატჩისას შუბლის ძვალ გატეხილ საქართველოს ნაკრების კაპიტან ილო ზედგინიძეს გუშინ მონპელიეს კლინიკაში ოპერაცია გაუკეთეს. ჩამტვრეული ძვლის ადგილას ქირურგმა ერიკ პატმა ილოს პლატინის ფირფიტა ჩაუდვა. ექიმების თქმით, ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მანამდე კი ბორჯღალოსნები მონპელიეს მახლობლად კაპიტნის გარეშე შეიკრიბნენ. ჩვენების ამბების გასაგებად საქართველოს ნაკრების მწვრთნელ კლოდ სორელს დავუკავშირდით...*

**— როგორ ჩაიარა ოპერაციამ?**

— გუშინ მთელმა ნაკრებმა ვინახულეთ ილო. ექიმების თქმით, ოპერაციამ გართულებების გარეშე ჩაიარა. წესით, საავადმყოფოდან ხვალ უნდა გამოწერონ.

**— ვარჯიშის დაწყებას როდის შეძლებს?**

— ვარჯიშს სამშაბათს განაახლებს. ნაოპერაციების მოსაშუშებლად და ფორმის აღსადგენად დაახლოებით 25 დღე დასჭირდება.

— ორი სიტყვა ახალდაწყებულ შეკრებაზე ...

— დღეში 3-ჯერ ვვარჯიშობთ. აქედან ერთი საათი ტრენაჟორებს ეთმობა. ყოველ საღამოს ვიდეოსეანსი გვაქვს, ჩვენსა და მეტოქეთა მატჩებს ვარჩევთ. ბიჭების ძალიან კმაყოფილი ვარ, ყველა თავდაუზოგავად შრომობს.

**არჩილ ჭუმბურიძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

კლოდ სორელი ჯერ კმაყოფილია

# ტესტბანანი

ამ დღეებში ფერარელები ხერესში ტესტაობენ. მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი და წლევანდელი ლიდერი მიხაელ შუმახერი ახლა ბომბა ფორმაშია. საშესვენებო ბანანსაც როგორღაც უფრო გამეტებით მისძალებია.



# სიქველე

საერთაშორისო საზოგადოება ერაყში ომის შედეგად დახეიბრებულ ბავშვებისთვის საფეხბურთო მაისურებს აგროვებს. კამპანიას სათავე ლონდონური ჩელსის „სტემფორდ ბრიჯზე“ დაედო, სადაც, სხვა მეტ-ნაკლებად სახელიან სტუმართა შორის ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონიც იყო წვეული. ფოტოზე მას „ჩელსის“ თილისმასთან ერთად ხედავთ.



# შემოეხეტა

პარიზის ახლო-მახლო საგოლფო ტურნირი გაჩაღებულა. ინგლისელი ფილიპ გოლდინგი მე-7 ფოსოში ბურთის გასაგზავნად ბალახის ზედაპირს ათვალიერებდა, როცა ცხვირწინ საიდანღაც შემოხეტებული ძაღლი გაჩითა. როიტერის ფოტოკორესპონდენტმა ჯეკ დაბაღიანმა სწორედ ეს სენტიმენტალური მომენტი გასკვანჩა.



# სასამართლო ქრონიკიდან

ვინუს და სერენა უილიამსების უფროსი ნახევარდის, იეტუნდი პრაისის მკვლელობაში ბრალდებული აარონ მაიკლ ჰამერი სამშაბათს სასამართლოს წარუდგა. მართალია, 24 წლის ჰამერმა იქ მცირე ხანს დაჰყო, რაკილა მისმა დაცვამ წინასწარი მოსმენების ერთი კვირით გადადება ითხოვა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს — თავდებში მას მაინც არ უშვებენ და იმიტომ.



ჰამერი კომპტონელია — და გეხსომებათ, იეტუნდი კვირა-ორაშაბათის გასაყარზე სწორედ ლოს-ანჯელესის ამ, კრიმინალური თვალსაზრისით სახელმოხვეჭილ გარეუბანში მოკლეს. მას მკვლელობა და ასევე ცეცხლსასროლ იარაღის უკანონოდ შენახვა და ხმარება ბრალდება. თუკი ყველა ეს ბრალდება დადასტურდა, ჰამერს ცხოვრების ბოლომდე პატიმრობას მიუსჯიან.

როგორც იქაური პოლიცია აცხადებს, ჰამერი ერთ-ერთ კომპტონურ ბანდებთან ახლობლობდა. თუმც კი მისი წევრი არასოდეს ყოფილა. ის აქამდეც არაერთხელ შეუნიშნავთ წვრილმან ყალბისმქმნელობასა და ყალთაბანდობაში.

სათქმელი ისიც, რომ პოლიცია კიდევ სამ ეჭვმიტანილსაც დაეძებს.

რაც შეეხება მკვლელობის მოტივებს. ამაზე ჯერ არაფერი თქმულა. ისე კი, იეტუნდი, რომელიც კომპტონიდან 40 მილის დაშორებით, კორონაში ცხოვრობდა, არასოდეს ყოფილა შემჩნეული კომპტონურ ბანდებთან ურთიერთობაში.

„ჩვენ მხოლოდ მანქანით ვმოძრაობდით — იგონებს იმ ღამეს იეტუნდთან ერთად მყოფი როლან უორმლი — არანაირი შელაპარაკება არ მომხდარა. იეტუნდს პირდაპირ ესროლეს“.



# ჩამოარიგეს

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მონაკოში წლის უგამორჩეულეს მძლეოსნებს პრიზები ჩამოურიგა. კაცთა შორის წლის საუკეთესო ათლეტად დიადი მაროკოელი შორსმრბოლი ჰიშამ ელ გერუჯი დასახელდა, ქალთაგან კი პირველობის ჯილდო სამხრეთაფრიკელ სიმაღლეზე მხტომელ ჰესტრი კლუტეს ერგო.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge